

K 283 255
3



ბერძენიშვილის ინსტიტუტი
სტარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ნაილა ჩეღებაძე

**ტურიზმის ისტორიულ-კულტურული
რესურსები საქართველოში
(სხალთისწყლის ხეობა)**

(დამხმარე სახელმძღვანელო)

თბილისი 2009

F 98.316



ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ატარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ნაილა ჩელეუბაძე

**ტურიზმის ისტორიულ-კულტურული
რესურსები საქართველოში
(სხალთისწყლის ხეობა)**

(დამხმარე სახელმძღვანელო)



თბილისი 2009

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-0-5108-4

დამხმარე სახელმძღვანელო „ტურიზმის ისტორიულ-კულტურული რესურსები საქართველოში“ (სხალთისწყლის ხეობა) შეესაბამება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო სტანდარტებს. ავტორისეული მონათხრობი ნაშრომის ცალკეული პრობლემის შესახებ წარმოაჩენს არა მარტო ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, არამედ, ისტორიულ-კულტურული რესურსის სახით მის ფუნქციონირებას საქართველოს ისტორიული პროვინციის - აჭარის ერთ-ერთი უღამაზესი სხალთისწყლის ხეობის მაგალითზე, რომელიც მისი ისეთივე ტურისტული მომსახურების ფართო სპექტრია, როგორც მთაბარი და სხვა ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები. ამასთან, წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოყენებით, რამდენადმე შესაძლებელი გახდება ტურიზმის სფეროში არსებული დეფიციტის დაძლევა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისითაც.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი სპეციალობისათვის, ისე ჰუმანიტარული და განათლების ფაკულტეტების სტუდენტებისა და მაგისტრებისათვის, აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი ანა კლდიაშვილი

რეცენზენტები:


ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნოდარ კახიძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი მანია ჭიჭილეიშვილი

K 283.255
3

ISBN 978-9941-0-2108-4



საბართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



მადლობა ყველას, საქართველოს ყველა კუთხეს თანადგომისათვის.
მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის.
მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს,
რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო,
შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური
კულტურის საგანძური.
აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია

I. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

1. მემკვიდრეობის არსი. მისი ძირითადი სახეობა



საქართველო საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტები ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, ქართულ ეთნიკურ კულტურას უწინარესად ეთნოლოგიის საშუალებით უნდა გაეცნონ. ეს კი ნიშნავს ტურიზმის სპეციალისტების მიერ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არა მხოლოდ სათანადო ცოდნის შექმნას, არამედ, მის საფუძველზე პრაქტიკულ-გამოყენებით შესაძლებლობათა რეალიზებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო საგანძურში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ადგილის განსაზღვრასა და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების უფრო ღრმად გაცნობას, როგორცაა ისტორიულ-კულტურული რესურსები, მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის პრინციპები და სხვა.

მემკვიდრეობა მეცნიერული განმარტების მიხედვით არის განვითარების პროცესში ახალსა და ძველს შორის ობიექტურად აუცილებელი კავშირი. მას აქვს ობიექტური და საყოველთაო ხასიათი, რომელიც ვლინდება ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში. ამის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ მისი შემდეგი სახეები: ბიოლოგიური, კულტურული, ისტორიული და მრავალი სხვა. ამათგან ტურისტული ბიზნესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იმთავითვე წარმოადგენდა უმთავრეს რესურსს მსოფლიო ტურიზმის განვითარების სფეროში.

საზოგადოებასთან მიმართებაში მემკვიდრეობა აღნიშნავს წარსული ისტორიული რეალობიდან მომდინარე ტრადიციათა მოქმედების ერთიანობას, რომელიც წარმოშობს სოციალური ქცევის ისეთ ნორმებს, როგორცაა - ჩვეულებები, რელიგია, მორალი, კორპორაცია და სხვა. მემკვიდრეობის საშუალებით ხდება სოციალურ და კულტურულ ფასეულობათა გადაცემა და მათი ათვისება ყოველი ახალი თაობის, ყოველი ახალი სოციალური სისტემის მიერ. ამდენად, მემკვიდრეობა წარმოადგენს „საზოგადოების მეხსიერების“ განსაკუთრებულ მექანიზმს, რომელიც ახორციელებს წარსულის კულტურული ინფორმაციის დაგროვებასა და შენახვას, რომლის საფუძველზეც იქმნება ახალი ღირებულებები. რომ არა ქართული კულტურის ათასწლოვანი ისტორიული განვითარება, თუნდაც ქართული დამწერლობის ხანგრძლივი ისტორია, დღეს ზედმეტი იქნებოდა მსჯელობა ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებაზე ისეთ სფეროებში, როგორცაა დამწერლობა, მდიდარი ზეპირსიტყვიერება, ისტორიოგრაფია და მრავალი სხვა. ასე, რომ შესაძლებელია ქართველი კულტურის საგანძურში „ვეფხისტყაოსანი“ ასეთი სრულყოფილებით დღემდე ვერც შემონახულიყო.

ტურიზმის განვითარებაში ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც არაერთი ფაქტორით არის განპირობებული. სწორედ აქედან ხდება ისტორიულ-კულტურული

რესურსების შერჩევა და მათი გამოყენება ტურისტული საქმიანობისათვის. როგორც გერმანელი ფილოსოფოსი და მეცნიერი ემანუელ კანტი წერდა, აგური გვიჩვენებს, თუ რა უნდა ააშენოს ადამიანი. სწორედ ამდაგვარად არის წარმოსადგენი მემკვიდრეობისა და ისტორიულ-კულტურული რესურსების ურთიერთმიმართება და ამ რესურსების გამოყენების საკითხი ტურიზმის ბიზნესში.

კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ფასეულობებს, რომლებიც წინამორბედი თაობების მიერ არის შექმნილი. იგი კულტურის ერთ-ერთი ქვესისტემათაგანია, რომელსაც რამდენიმე ფუნქცია აქვს: ინფორმაციული, კომუნიკაციური, კრეატიული, ესთეტიკური, აღმზრდელობითი. რაც შეეხება კულტურის სტრუქტურას, იგი წარმოდგენილია შემდგენიარად: მენტისფაქტი - კულტურის პიროვნული ფორმის მდგომარეობა, არტეფაქტი - კულტურის საგნობრივი ფორმა, სოციოფაქტი - კულტურის სამოღვაწეო ფორმის გამოვლინება.

კულტურის შესწავლით მეცნიერების რამდენიმე დარგია დაინტერესებული. კულტურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ეთნოლოგია (სოციოკულტურული ანთროპოლოგია) იჩენს, რომელსაც კულტურა ეთნოსებთან მიმართებაში აინტერესებს. მისი მიზანია დაადგინოს კულტურის დეფინიციები, კულტურული სხვაობები ხალხთა შორის და ახსნას ეს სხვაობები მათი განვითარების ისტორიის რეკონსტრუქციით, მიგრაციითა და ურთიერთქმედებით. დაასაბუთოს, რომ კულტურა არის ის სტრუქტურა, რომელიც კრავს ეთნოსს და იცავს მას დანაწევრებისგან. ასევე, მის მიზანს შეადგენს კულტურათაშორისი კავშირებისა და კულტურის დინამიკის შესწავლა, შიდაკულტურული პარადიგმები და ღირებულებათა სისტემები, ზოგადად კულტურა, როგორც ადამიანის არსებობის ფორმა. აქედან გამომდინარე, სოციო-კულტურული ანთროპოლოგია უმთავრესად ეთნიკური კულტურის, საზოგადოების კულტურის შესწავლით არის დაინტერესებული, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ეთნიკურ ერთობებსა და სხვადასხვა საზოგადოებებს შორის არსებულ სხვაობათა გამოვლენა. ეთნოლოგიაში (სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში) საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველა დიდი თუ პატარა ეთნოსისათვის (ეთნიკური ერთობისათვის), საზოგადოებისათვის, ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციფიური და უნიკალური კომპლექსები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემიან და ამავე დროს, ისინი მეტნაკლებად ცვლილებებსაც განიცდიან. მეცნიერებაში ეთნიკურ კულტურას ზოგჯერ ტრადიციული კულტურის, იშვიათად ყოფითი კულტურის სახელითაც მოიხსენიებენ.

ეთნიკური კულტურა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა - ის კაცობრიობის თანმდევი მოვლენაა. ამიტომ სავსებით მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ უკულტურო ხალხები არასდროს არ არსებობდნენ. ამდენად, ყველა ეთნოსის კულტურა კულტურული ფასეულობების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მოცემულია ეთნოსის მიერ და რომელიც შეთვისებულია სხვა ეთნოსებისაგან ურთიერთობის, ურთიერთქმედების პროცესში. როგორც ცნობილია, საქართველო გეოპოლიტიკურად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორი სრულიად განსხვავებული ცივილიზაციის - ტრადიციული აღმოსავ-

ვლეთისა და მოდერნიზებული დასავლეთის პარადიგმათა შორის იმყოფება. ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველო განვითარების ყველა ეტაპზე იძლეოდა კულტურათა დიალოგის საუკეთესო მაგალითს, რამაც განაპირობა ქართული კულტურის თავისებურებები და მისი მრავალფეროვნება. სწორედ ამგვარი გარემოების გამომხატველია ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „ახისა და ვეროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანული და მამადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. ამ ორი დიადი მიმართულებით გაპოხიერებულს ქართულს ეროვნულს ნიდაგზე აღმოცენებული იზრდებოდა და იფურჩქნებოდა საქართველოს „კულტურა“.

მეცნიერებაში კულტურის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. სიტყვა **კულტურა** ლათინური წარმოშობისაა და იგი აღნიშნავს:

1. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობას საწარმოო, საზოგადოებრივ და

სულიერ ცხოვრებაში

2. დონეს, რომელსაც მიაღწიეს რაიმე ცოდნის, ჩვევის, მოქმედების დაუფლებისას.

3. გაშენებას, მოყვანას რაიმე მცენარისა

4. თვით გაშენებულ მცენარეს.

მრავალგვარი განმარტების მიუხედავად ცნება „კულტურის“ ძირითადი შინაარსი შემდეგნაირია: **კულტურა** არის საზოგადოების განვითარების, შემოქმედებითი ძალებისა და ადამიანთა შესაძლებლობების ისტორიულად განსაზღვრული დონე, რომელიც გამოიხატება ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის ტიპებსა და ფორმებში, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში, მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებში.

კულტურა რთული ცნებაა. ის მოიცავს როგორც მატერიალურ (საკვები, ტანსაცმელი), ისე სოციალურ (საზოგადოების ორგანიზაცია, სტრუქტურა) და სულიერ (რელიგია, მეცნიერება) მოვლენებს. ასე, რომ კულტურა იყოფა სამ ნაწილად. პირველი მათგანი დაკავშირებულია ადამიანების საზოგადოებრივ ცნობიერებასთან, მეორე მათ ქცევასა და მოქმედებასთან, და მესამე ვლინდება ადამიანთა საქმიანობის მატერიალურ შედეგში. საერთოდ, არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია კულტურის გარეშე არსებობა. საზოგადოების, ჯგუფის მიერ აღიარებული ფასეულობები, ნორმები კულტურის შემადგენელი ნაწილია. კულტურის, როგორც საზოგადოების წევრთა ცხოვრების ყველა სფეროს მომცველობა, განსაკუთრებით ფართოდ წარმოაჩენს თავის კვლევის ობიექტს. ეს შეეხება საოჯახო ცხოვრებას, საქორწინო რიტუალებს, ჩაცმის მანერას, ოჯახსა და საზოგადოებაში დგომის, ჯდომის, საკვების მიღების ხერხებს, შრომით საქმიანობას, რელიგიურ ცერემონიალებს, თავისუფალი დროის გატარებას, ადამიანებს შორის მოყვრულ და მტრულ დამოკიდებულებასა და სხვ.

კულტურის ცნება გამოიყენება განსაზღვრული ისტორიული ეპოქების დახასიათებისათვის (ანტიკური, აღორძინების ხანის და ა.შ.), კონკრეტული სა-

ზოგადოების, ხალხებისა და ერებისათვის (ქართული კულტურა, მათსა კულტურა) და, ასევე ცხოვრების ან მოღვაწეობის სპეციფიკური სფეროსათვის (შრომის კულტურა, პოლიტიკური კულტურა, მხატვრული კულტურა). უფრო ვიწრო გაგებით კულტურა არის ხალხთა სულიერი ცხოვრების სფერო. იგი მოიცავს ადამიანთა მოღვაწეობის საგნობრივ რეზულტატებს (მანქანები, მოწყობილობა, შემეცნების შედეგები, ხელოვნების ნაწარმოებები, მორალისა და სამართლის ნორმები და ა. შ.) და, ასევე, მოღვაწეობის დროს რეალიზებულ ადამიანთა ძალებს (ცოდნა, უნარი, ჩვევა, ინტელექტის დონე, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარება, მსოფლმხედველობა, ხალხთა ურთიერთობების ფორმები და საშუალებები).

როდესაც საქმე ეხება კულტურულ ფასეულობათა მემკვიდრეობას და მასში წარსულის გადმონაშთების შენახვას, საგულისხმოა ის კავშირი, რომლის დროსაც ძველთან მიმართებაში ახალი მოვლენები ინარჩუნებენ ზოგ თავის ელემენტს. გარდა ამისა, ერთმანეთისაგან აუცილებლად უნდა განვასხვავოთ კულტურულ ფასეულობათა მემკვიდრეობა და წარსულის გადმონაშთები. ყოველივე ეს გულისხმობს იმას, რომ ხდება არა მარტო ძველის ლიკვიდაცია, არამედ იმ პროგრესულის, რაციონალურის შენარჩუნება და განვითარება, რაც წინა საფეხურებზე იყო მიღწეული. მაშასადამე, მემკვიდრეობა არ არის შეზღუდული სივრცესა და დროში. იგი ყველგან არსებობს და შეიძლება იყოს როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილიც. როდესაც წარსულის კულტურული ღირებულებები გამოდმებით ფუნქციონირებენ საზოგადოების ცხოვრებაში, მაშინ სახეზეა უწყვეტი მემკვიდრეობა, ხოლო მისი წყვეტილი ფორმა აღნიშნავს კულტურის სფეროდან რომელიმე ღირებულების დროებით გაქრობას.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამდევი მემკვიდრეობითობის მოვლენა საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონების - უარყოფის უარყოფისა და რაოდენობრივი ცვლილებებიდან თვისობრიობაში გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე არსებით ნიშანს წარმოადგენს.

ამდენად მემკვიდრეობითობის პროცესების სწორ გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარების მცენიერებისა და ხელოვნების პროგრესის კანონზონიერებათა ანალიზისათვის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მემკვიდრეობის პრინციპებზეა აგებული ყველა სოციალური ინსტიტუტი.

2. მუზეუმები, როგორც ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

ადამიანთა მსოფლმეცნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიული და კულტურული რესურსების დანახვასა და აღქმას, მათგან მიღებული შთაბეჭდილებებისაგან განცდასა, ესთეტიკური სიამოვნების მიღებასა და ყოველივე ამის ეფექტურად გამოყენებას ტურიზმის ბიზნესისათვის. ამ ისტორიულ და კულტურულ ფასეულობათა პირდაპირი ნახვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება არის მუზეუმი. იგი მემკვიდრეობის დაცვის სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. მას ანთროპოგენურ რესურსებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რამაც განაპირობა მუზეოლოგიის მეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბება.

ნათქვამია, ასევე გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და, მართლაც წიგნის ფურცლებსა თუ მონიტორის ეკრანზე ნანახი ვერც ერთი შედეგრი ვერ შეცვლის რეალურად ნანახსა და განცდილს. ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა კი მუზეუმს შეუძლია. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მუზეუმების როლი თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. საზოგადოებისთვის დახურული მუზეუმი, რომელშიც მხოლოდ კოლექციები ინახებოდა, შეცვალა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული როლის მქონე დაწესებულებამ. მაშასადამე, მათ გააჩნიათ თანამედროვე კულტურის ცენტრების ფუნქცია. და იგი იძლევა სხვადასხვა დონის სიძველების მოწყობის საშუალება. თანამედროვე შეხედულებები მუზეუმისა და მისი ფუნქციის შესახებ კარგად ჩანს სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც. თუკი მე-20 საუკუნის დასასრულს მსოფლიოში იყო 12000-მდე მუზეუმი, დღეს მათი საერთო რაოდენობა 20000-ს აღწევს. ასე, რომ ამჟამად მუზეუმები ძირითადად გამოვიდნენ კაცობრიობის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ფასეულობების შენახვისა და უბრალო ექსპონირების ჩარჩოებიდან და მათი პოპულარიზაციის გარდა ადგილი აქვს ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერების შესწავლასაც. მაგალითად, ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ლუერის მუზეუმი თავის შემადგენლობაში აერთიანებს მთელ ინსტიტუტს, როგორც სრულფასოვან სასწავლო დაწესებულებას. მსგავსი პრაქტიკა იწერება მსოფლიოს სხვა მუზეუმებშიც.

ყოველ ადამიანში ფართოვდება მსოფლადქმა მას შემდეგ, როცა იგი ახლოს ეცნობა არა მარტო საკუთარ, არამედ სხვა ხალხთა ისტორიასა და კულტურას. ამის შედეგად მასში ღრმავდება მოკრძალება მისი წინაპრების ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ, პატივისცემა სხვა ხალხთა ისტორიისა და კულტურის მიმართ, უბრალოდ, მასში იღვიძებს მისწრაფება იმისა, რომ თავად გახდეს შემოქმედი.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე დასავლურ სამყაროში ტექნიკური ცივილიზაციის კულტურულ-ჰუმანიტარული საფუძველი სულ უფრო ფართოვდება და იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასე, რომ სრულყოფილი ადამიანის ფორმირების საქმეში აუცილებელია ყველა თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილების მიზიდვა და მათი მიზნობრივი გამოყენება. ამ საქმეში კი კარგახანია გამოიკვეთა სამუზეუმო საქმის განვითარების პერსპექტიული ტენდენციები.

დანიშნულებისა და ფუნქციების შესაბამისად არსებობს მუზეუმის მრავალი ტიპი: ისტორიული ანუ მხარეთმცოდნეობის, ლიტერატურული პროფილის, საუნივერსიტეტო, მუზეუმ-ნაკრძალი, ვირტუალური კომპიუტერული მუზეუმი, ხელოვნებისა და სხვადასხვა პროფილის მუზეუმი. თავის მხრივ მუზეუმები იყოფა აგრეთვე ოთხ ძირითად კატეგორიად:

1. ეს არის ეროვნული, სახელმწიფო, პროვინციის, მუნიციპალური, ადგილობრივი ან სპეციალური დანიშნულების მუზეუმი: გეოლოგიური მუზეუმი, რკინიგზის მუზეუმი, ფოსტის მუზეუმი და ა.შ. მუზეუმებისათვის ძირითადი დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული მთავრობასთან, ხელისუფლების რეგიონულ თუ მუნიციპალურ ორგანოებთან ან იმ ორგანიზაციებთან, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან.

2. ეს არის მუზეუმი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება. მათ მიერ დაკავებული შენობები შეიძლება იყოს სახელმწიფოს, ქალაქის ან სასწავლო დაწესებულების, მაგალითად, უნივერსიტეტის საკუთრება, მაგრამ ეს მუზეუმები კომერციულ საფუძველზე არსებობენ და ფუნქციური და ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ. ჩვეულებრივ, ამ მუზეუმებში არსებობს საბჭო, რომელშიც შედიან სახელმწიფო ან მუნიციპალური თუ საუნივერსიტეტო უწყებები, დაწესებულებებისა თუ სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ.

3. ამ კატეგორიის მუზეუმები ემსახურებიან სახელმწიფო ინტერესებს ეკონომიკური მოგების გარეშე და მათ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვთ. უწყება, რომლის გამგებლობაშიც არის ეს მუზეუმი, ქმნის მზრუნველთა საბჭოს. ამ საბჭოში შედიან როგორც ამ უწყების, ისე სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მუზეუმის დირექტორს საბჭო ნიშნავს. ამგვარი მუზეუმები ღებულობენ სახელმწიფო დაფინანსებას, მაგრამ კერძო წყაროებიდანაც შეუძლიათ სახსრების მოპოვება.

4. კერძო მუზეუმები, რომლებიც მუშაობენ მათი მესაკუთრეების მიერ მოგების მიღების მიზნით. ისინი არ შედიან იმ ორგანიზაციათა რიცხვში, რომელთაც „იუნესკო“ უწოდებს „მუზეუმებს“ და უწევს მფარველობას.

მუზეუმების ისტორია. საუკუნეების განმავლობაში მუზეუმების განვითარების ისტორიის საფუძველზე უფრო ადვილია დღეს მათი ახალი როლის გაგება. თანამედროვე მუზეუმები საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონის გამოხატულებაა. ეს ახალი როლი, ცნების „კულტურული მემკვიდრეობა“ პარალელურ გაფართოებასთან ერთად, მოითხოვს მუზეუმების მართვის მოდიფიცირებას. ლათინურ სიტყვას “მუსეუმ” (ბერძნული “მოსეონ”) საუკუნეთა განმავლობაში მრავალი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კლასიკურ პერიოდში იგი აღნიშნავდა მუზეუმისთვის განკუთვნილ ტაძარს. იმ ეპოქის ყველაზე სახელგანთქმული მუზეუმი ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში პტოლემეუს ფილადელფუსმა დააარსა ალექსანდრიაში, რომელიც ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესასწავლ ადგილას წარმოადგენდა. ამ კომპლექსში შედიოდა საცხოვრებელი ოთახები, სასადილო დარბაზი, საღებავი დარბაზი, გადახურული გალერეა, ბოტანიკური ბაღი, ზოოლოგიური პარკი, ასტრონომიული ობსერვატორია და ბიბლიოთეკა. მუზეუმში ინახებოდა ნივთ-

ბი, მოაზროვნეთა ქანდაკებები, ასტრონომიული და ქირურგიული ინსტრუმენტები, სპილოს ეშვები და ცხოველთა ტყავები, იქ იყო ბოტანიკური ბაღი, ზოოლოგიური პარკები. მაგრამ ეს იყო ფილოსოფიური აკადემია – სპეციალური გამოკვლევებისთვის მოწოდებული ინსტიტუტის მაგვარი დაწესებულება, რომელშიც ბევრი განსწავლული მეცნიერი ცხოვრობდა. ამ დაწესებულებას სახელმწიფო უწყვედა დახმარებას. მუხეუმი და მისი ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის 270 წელს სამოქალაქო არეულობის დროს განადგურდა. ანტიკურ სამყაროში არსებობდა ექსპონატების სახელმწიფო კოლექციები, რომლებიც ფასდებოდა მათი ესთეტიკური, ისტორიული, რელიგიური და მაგიური მნიშვნელობით. ბერძნულ ტაძრებში ინახებოდა ოქროსა და სხვა ლითონებისაგან დამზადებული ძვირფასი შემოწირულობა, ქანდაკებები და სტატუეტები, მხატვრობის ნიმუშები და უბრალოდ ოქროს ზოდებიც კი. ნახატები ხის ფირფიტებზე იყო შესრულებული (ბერძნული „პინას“) და ამიტომ მათ კოლექციას პინაკოთეკა ეწოდებოდა. რომაელები მხატვრობის ნიმუშებსა და ქანდაკებებს ფორუმებზე, სახალხო ბაღებში, ტაძრებში, თეატრებსა და აბანოებში გამოფენდნენ. თუმცა გენერლებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ვილებზე ხელოვნების ნიმუშები და ომებში მოპოვებული ნადავლი მხოლოდ მათი სიამოვნებისთვის იყო გამოფენილი. იმპერატორ ადრიანეს ვილა ბრწყინვალე დადასტურებას იმისა, რომ იგი საბერძნეთსა და ეგვიპტეში ნანახი ნაცნობი ადგილებისა და შენობების მსგავსად. იყო მოწყობილი ფაქტობრივად, ეს ვილა დღევანდელ დღეს არსებული „ღია ცის ქვეშ მუხეუმების“ წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ.

შუა საუკუნეებში ევროპის ეკლესიები და მონასტრები საიუველირო ნაკეთობების, ქანდაკებების, ხელნაწერებისა და წმინდანთა წმინდა ნაწილებების საცავებად იქცა. მე-7 საუკუნიდან მოყოლებული, ამ საცავებს დაემატა ჯვაროსნების მიერ ჩამოტანილი ნადავლი. დროდადრო ხდებოდა მათი გამოფენა და ისინი სარეზერვოდ ინახებოდა. კოლექციების აღსანიშნავად სიტყვა მუხეუმის შემოდება მიიჩნევა რენესანსის დროინდელი ჰუმანიზმის, მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელთა ეპოქისა და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიის დამსახურებად. მე-16 საუკუნეში მუხეუმის ცნების გამოხატვის მიზნით ორი ახალი ტერმინი შემოვიდა. „გალერეა“ (იტალიური „გალერია“) – დიდი, გრძელი, ცალი მხრიდან განათებული დარბაზი – აღნიშნავდა ნახატებისა და ქანდაკებებისათვის განკუთვნილ საგამოფენო სივრცეს. „კაბინეტ“ (იტალიური „კაბინეტ“) იყო კვადრატული ფორმის ოთახი ცხოველებით, ბოტანიკური რარიტეტებით, ხელოვნების მცირე ზომის ნიმუშებით, მატერიალური კულტურის ნიმუშებითა და ანტიკვარული ნივთებით. ორივე ტერმინი კერძო, საზოგადოებისთვის დახურულ კოლექციას აღნიშნავდა. მხოლოდ გამოჩენილ მოგზაურებს თუ ეძლეოდათ ზოგჯერ ამ კერძო კაბინეტების მონახულების შესაძლებლობა. თანდათანობით, მე-17 და მე-18 საუკუნეებში, ისინი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ პერიოდის განმავლობაში „საჯარო მუხეუმების“ გახსნა აუცილებლობად იქცა. ის მიზნად ისახავდა კერძო კოლექციების ყველა ადამიანისთვის ჩვენებას.

პირველი „საჯარო მუხეუმი“ 1759 წელს დაარსებული ბრიტანეთის მუხეუმი იყო. მაგრამ სხვადასხვაგვარი წესებისა და დადგენილებების წყალობით ღარიბ

და გაუნათლებელ ადამიანებს არ შეეძლოთ მუზეუმში შესვლა. საგანგებო ბიბლიოთეკარიც კი არსებობდა, რომელსაც უნდა გადაეწევიტა, შეიძლებოდა თუ არა მსურველის დაშვება მუზეუმში. ასე რომ, კერძო მუზეუმების დროიდან არსებითად არაფერი შეცვლილა. ამგვარმა გარემომ ღარიბ და გაუნათლებელ ადამიანებს მუზეუმებისთვის სურვი შეაქცევინა. მუზეუმებში ფართო საზოგადოების დაშვება ლონდონში 1851 წელს გამართულმა გამოფენამ განაპირობა. ამ ტიპის გამოფენები უამრავ ხალხს იზიდავდა და ამან რამდენიმე ქვეყნის მთავრობას აფიქრებინა, რომ შესაძლებელია მუზეუმების გამოყენება საზოგადოებრივი სარგებლობის და საზოგადოების კონტროლის საშუალებად, რადგან მოსახლეობა თავისუფალ დროს მუზეუმებში სიარულსა და თვითგანათლებაში გაატარებდა. გამოფენებმა მთავრობები დაარწმუნეს, იმაშიც რომ მუზეუმებს შესწევდათ უნარი ეროვნული სიამაყის გრძნობა ჩაენერგათ მოსახლეობისთვის. ამის შედეგად მე-19 საუკუნის განმავლობაში როგორც მეფეებმა, ისე მთავრობებმა აღიარეს მუზეუმების მნიშვნელობა (ნაციონალიზმის - მაშინდელ ევროპაში გაბატონებული პოლიტიკური მრწამსის - იდეის გამტარებელი დაწესებულებების სახით) საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების, ფაქტობრივად, „ტვინის გამორეცხვის“ თვალსაზრისით. მე-19 საუკუნეში მუზეუმი კვლავ ისეთივე ცივ და უღიმღამო შენობად დარჩა და ინტელექტუალური თვალსაზრისით იგი მოსახლეობის განათლებული ფენებისათვისაც კი მიუწვდომელი იყო. მაგრამ მე-19 საუკუნის შუა ხანებისთვის თავი იჩინა ცვლილებებმა, ვინაიდან აღმოცენდა მუზეუმების სხვადასხვა სახეები: კერძო კაბინეტები, ნახევრად საჯარო კოლექციები, საჯარო დაწესებულებები, საზოგადოებრივი მუზეუმები, გამოფენები და ყველასათვის ხელმისაწვდომი მუზეუმები. მართალია, მთავრობებმა აღიარეს მუზეუმთა მნიშვნელობა, თუმცა არანაირად არ აუსახავთ ეს კანონმდებლობაში. მე-20 საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მოხდა პოლიტიკური ძვრები, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე მოახდინეს ზეგავლენა, წარმოიშვა იდეები მუზეუმის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და სწორედ ამის შედეგია ის პოზიტიური ძვრები, რომლის შედეგად მუზეუმი გახდა ბევრად უფრო მისაწვდომი და საინტერესო მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის.

მუზეუმთმცოდნეობის ახალი თეორიების მიერ მუზეუმების როლის დანახვის ახლებური გზები საკმაოდ მისაღები გამოდგა. ისინი მუდმივ ზეგავლენას ახდენენ სამუზეუმო პრაქტიკაზე. თუ გავიხსენებთ, როგორი იყო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მუზეუმის განსაზღვრა, დავინახავთ ცვლილებას: „მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, დოკუმენტებით ამყარებს, იცავს, გამოფენს და ინტერპრეტაციას უკეთებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოების მიერ სარგებლობისთვის“ (გაერთიანებული სამეფოს მუზეუმთა ასოციაცია, 1984). შევადაროთ ეს განმარტება ყველაზე ახალს: „მუზეუმები შესაძლებლობას აძლევენ ადამიანებს, შეისწავლონ კოლექციები სტიმულირებაზე დამყარებული სწავლისა და სიამოვნების მიღების მიზნით. მუზეუმი

არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, იცავს და საზოგადოებას აჩვენებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და ეგზემპლარებს, რომლებსაც ის უნახავს საზოგადოებას“ ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ტრადიციული გაგებით კოლექციები არის არა მარტო სასარგებლო, ხელშემწყობი ინსტრუმენტები, არამედ თავისთავად მუზეუმის მიზანიც. თანამედროვე გაგებით იგი შეიცვალა და მივიღეთ ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მუზეუმის მიზანს დროთა განმავლობაში განცდილი ცვლილებების შესაბამისად ახასიათებს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მუზეუმის დანიშნულების გამოსახატავად გვხვდება ისეთი სიტყვების ერთობლიობა, როგორიც არის „სტიმულირება“, „სწავლა“ და „სიამოვნების მიღება“. მუზეუმები, ისევე, როგორც ბევრი სხვა დაწესებულება, არ არსებობენ თავისთავად. რადგან, მათზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას. თანამედროვე ეტაპზე მუზეუმების როლის სხვადასხვა ასპექტზე ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული ცვლილებები, ცვლილებები ეკონომიკურ სისტემებში, ცვლილებები ბაზარსა და თავისუფალი დროის გონივრულად მომხმარებელი ადამიანების განვითარებაში, ცვლილებები მეცნიერების სფეროში და ტექნოლოგიების გამოყენებაში, ცვლილებები პოლიტიკურ სტატუსებსა და ევროპული საზოგადოების ფორმირებაში. გარდა ამისა, მუზეუმების როლის ტრანსფორმირებას განაპირობებს მუზეუმის მიზნების აღქმა საზოგადოების მიერ, განსაკუთრებით კი საზოგადოებასთან მიმართებაში, ცვლილებები მის სიმბოლურ როლში ერისა თუ საზოგადოების ისტორიასთან თუ მომავალთან მიმართებაში. დღევანდელ დღეს ამის ძირითად დასაბუთებად შეიძლება მივიჩნიოთ მუზეუმების საგანმანათლებლო როლი, რომლის ხასიათი და მასშტაბი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მუზეუმი კოლექციების, ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების საცავია. ამიტომ ის მოვალეა, თავისი რესურსები ყველა პოტენციურ მომხმარებელს გაუზიაროს, ეს კი მუზეუმების საგანმანათლებლო როლთან არის დაკავშირებული. მსოფლიოს მუზეუმებში განათლების მისაწოდებლად ახალი შესაძლებლობებისა და სტრუქტურების აღმოცენებასთან ერთად მუზეუმების საგანმანათლებლო როლს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მიმდინარეობს სამუზეუმო განათლების განახლება, შეფასება და რეალური დაგეგმვა. ისევე, როგორც სხვა დაწესებულებებისთვის, მუზეუმებისთვისაც დადგა დრო, როდესაც მათ უნდა შეცვალონ თავიანთი პრინციპები, რომლებიც საუფუძვლად უდევს მათ განვითარებას. გარდა ამისა, მუზეუმების დამფინანსებლები მოითხოვენ საზოგადოებისთვის მათი ინვესტიციების სარგებლობის დემონსტრირებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუზეუმები ვეღარ გაამართლებენ საკუთარ არსებობას მხოლოდ საკუთარი კოლექციების დაცვით და გამოფენით. ამიტომ მათ უნდა შესთავაზონ საზოგადოებას სათანადო წინადადებები.

საქართველოს მუზეუმი არის დიდი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე თავი მოუყარა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ კულტურულ ფასეულობებს და მოახდინა მათი პოპულარიზაცია.

XIX საუკუნის შუახანებში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ბაზაზე შეიქმნა რეგიონალური განყოფილებები. ამათგან პირველი ასეთი

განყოფილება 1853 წელს თბილისში დაარსდა, რომლის მუშაობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ რაფიელ ერისთავმა. მისი შემოქმედების ორგანულ ნაწილს შეადგენს მდიდარი მემკვიდრეობა ცოდნის სხვადასხვა სფეროში, რითაც მას ისეთივე თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, როგორც აქვს დამკვიდრებული თავისი მხატვრული ნაწერებით ლიტერატურის მატიანეში. რაფიელ ერისთავი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლით იყო დაინტერესებული. ამიტომ მისთვის დიდი მონაპოვარი იყო მეცნიერებისა და კულტურის კერის შექმნა კავკასიის მუზეუმის სახით, რომლის პირმშოა საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ეს არის ქართული სამუზეუმო ქსელი, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის რამდენიმე წამყვან მუზეუმს აერთიანებს. იგი დაფუძნდა 2004 წლის 30 დეკემბერს, რათა გაერთიანებულიყო მმართველობა შემდეგი მუზეუმებით:

სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ახალციხე

გიორგი ჩიტაიას სახ. საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი და მისი ფილიალები

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, თბილისი

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი, დმანისი

ვანის მუზეუმ-ნაკრძალი, ვანი

თბილისის ისტორიული მუზეუმი, თბილისი

სვანეთის ისტორიუისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

პალეობიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

სიდნაღის მუზეუმი, სიდნაღი

საქართველოს სურათების ეროვნული გალერეა, თბილისი

არქეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რ. ერთიანმა საქართველოში დიდი ამაგი დასდო მუზეუმის დაფუძნებისა და განვითარების საქმეს. სწორედ რ. ერისთავი სცნო ღირექციათ ისეთ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო ისტორიული და ეთნოგრაფიული კაბინეტების ექსპონატების დაზუსტება-კლასიფიკაცია, რადგან საჭირო იყო ნივთის რაობის გარკვევა და, მისი ადგილობრივი სახელწოდების დაზუსტებაც. მუზეუმის მესვეურებმა ასეთ პიროვნებად სცნეს რ. ერისთავი. ამდენად იგი მუზეუმის კატალოგიზაციის პირველ ავტორად გვევლინება. 1853 წელს არჩეული იქნა მუზეუმის ღირექცია სამი წევრის შემადგენლობით. 1855 წელს სამუზეუმო საქმიანობაში დამსახურებული ავტორიტეტის წყალობით რ. ერთიანი აირჩიეს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ნამდვილ წევრად. რ. ერისთავმა დიდი როლი შეასრულა კავკასიური მუზეუმის ზრდასა და განვითარებაში, მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში, კლასიფიკაციაში, რაობის განსაზღვრასა და კვალიფიციურ აღწერილობაში.

მუზეუმების მზარდი როლი სათანადოდ აისახა მუზეუმების საერთაშორ-

ისო საბჭოსეულ (იხ) გადაწყვეტილებაში და 1977 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება მუზეუმის საერთაშორისო დღე - 18 მაისი. იგი ტარდება მსოფლიოს ყველა მუზეუმში და მის მთავარ თემას, რომელიც უნდა პასუხობდეს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსეულ (იხ) მუზეუმის განმარტებას („მუზეუმები საზოგადოებისა და მისი განვითარების სამსახურში მყოფი დაწესებულებაა“), განსაზღვრავს იხ -ის მრჩეველთა კომიტეტი. იხ -ის მიმდინარე წლის (2009) მუზეუმის საერთაშორისო დღე მიეძღვნა ეთიკური ტურიზმის შესაძლებლობების წარმოჩენას და მის მთავარ თემას წარმოადგენდა „მუზეუმები და ტურიზმი“.

საფრანგეთის გაზეთ „ლა ტრიბუნის“ მიერ შედგენილი სიის მიხედვით 2007 წლის მონაცემების მიხედვით მსოფლიოს ყველაზე სწრაბადი მუზეუმების სიის სათავეშია პარიზის ლუვრი, რომელიც გასულ წელს დაათვალიერა 8 მლნ მეტმა ადამიანმა. მეორე აგილზეა ბრიტანეთის მუზეუმი, რომლის სტუმართა რაოდენობამ 5,4 მლნ ადამიანს გადააჭარბა. მის შემდეგაა ლონდონის გალერეა თეითი - 5 მლნ მეტი სტუმარი. მეოთხეზეა - ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი, შემდეგ ვატიკანი-აქ 2007 წელს 4,3 მლნ. დამთვალიერებელი იყო. შემდეგია ლონდონის ეროვნული გალერეა, ვერსალი, იმპრესიონისტების მუზეუმი დ'ორსე, ტოკიოს ნაციონალური მუზეუმი, პომპიდუს ცენტრი და სხვა. ექსპოზიციებს შორის ყველაზე წარმატებულია გამოცემა „მანედან პიკასომდე“ ლონდონში, რომელიც დაახლოებით 1 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა, „ლეონარდო და ვინჩის სული“ ტოკიოში (770 ათასი), ასევე პიჩარდ სერას სკულპტურის გამოფენა ნიუ-იორკში (735 ათასი). სულ 2007 წელს მსოფლიოს მუზეუმებში იმყოფებოდა 24 მლნ ვიზიტორი. შედარებისათვის: 2002 წელს მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 15 მლნ ადამიანს.



კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით ეთნოსების ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია. ნებისმიერ ტურისტს, ამა თუ იმ ქვეყანაში ყოფნის დროს, კულტურული ფასეულობების პარალელურად აინტერესებს ამ კულტურის შემოქმედი ხალხი, მათი წარმომავლობა და თანამედროვე მდგომარეობა. ყოველივე ამის საფუძველზე ნებისმიერი ტურისტისათვის უფრო გასაგები ხდება ის ინფორმაცია, რომელიც მას გააჩნია მასპინძელი ხალხისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. საბოლოო ჯამში ტურისტებს უფრო მეტად შეიძლება გაუღვივდეთ ინტერესი და, ასევე გაუძლიერდეთ შთაბეჭდილებები უცხო ქვეყნის მიმართ. მაგრამ იმისათვის, რომ კულტურული მემკვიდრეობის პარალელურად მოხდეს მისი მატარებელი ხალხის უკეთ გაცნობა და მათი ადგილის ზოგადი განსაზღვრა სხვა ქვეყნებთან, თუნდაც ტურისტის მშობლიურ ქვეყანასთან და ხალხთან ერთგვარი შედარება, მათთან პარალელის გაკლება, ცივილიზაციის ისტორიის გარდა საჭიროა მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის ძირითადი მონაცემების ცოდნა. ასე, რომ ნებისმიერი ტურისტისათვის ძალზედ საინტერესო და სასიამოვნო იქნება მათთან საუბარში ჩვენი ხალხისა და მისი კულტურის წარდგენა მოვახდინოთ ისე, რომ გავითვალისწინოთ აგრეთვე მისი კულტურისა და წარმომავლობის პარალელური მასალები.

მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა უახლესი მონაცემების მიხედვით, 2009 წლის დასაწყისში, შეადგენდა 6,6 მლრდ ადამიანს. დემოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით მათი რაოდენობა სულ უფრო სწრაფად იზრდება. ამ მხრივ გამორჩეულია ჩინეთი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან სახელმწიფოს წარმოადგენს, შემდეგ კი ინდოეთი და აშშ. უკანასკნელ ათწლეულებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების საფუძველზე (სსრკ-ს დაშლა და სხვ.) ცალკეული სახელმწიფოს ემიგრაციული პოლიტიკის შედეგებმა დიდად იმოქმედა მათში მოსახლეობის რაოდენობის ზრდის საერთო მაჩვენებელზე.

დედამიწის უზარმაზარ მასივში განსახლებულ მილიარდობით ადამიანთა შორის აბსოლუტურად იდენტური ერთი წყვილის არსებობაც კი წარმოუდგენელია. მაშასადამე, თითოეული ადამიანი საოცრად ინდივიდუალურია და თითოეულ ჩვენთაგანში ყველა უცნობი ადამიანი აღძრავს ინტერესს მის მიმართ. ზოგადად გვექმნება გარკვეული წარმოდგენა უპირველესად მისი გარეგნობის მიხედვით, შემდეგ სალაპარაკო ენის, სადაურობის და, რასაკვირველია, იმ მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომელსაც მისი ცოდნა და გამოცდილება მოიცავს რელიგიურ, კულტურულ თუ სამეურნეო ცხოვრების სფეროებში. საბოლოოდ, მიღებული ინფორმაციის შედეგად ეს „უცნობი“ ადამიანი ძალზედ მარტივად თავსდება იმ ჩარჩოში, რომელიც, უბრალოდ, მისი ეთნიკურობის აღმნიშვნელია. ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მეტნაკლებად შესწავლილი, უფრო ზუსტად ცნობილ ეთნიკურ ერთობათა რაოდენობა 2,2 - 2,4 ათასამდე მერყეობს. ეს ეთნოსები ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეთნოსებისა. ამდენად, მათი საზღვრები ერთმანეთთან არ არის თანხვედრილი, რაც კიდევ

უფრო ამრავალფეროვნებს მსოფლიოს ეთნოგრაფიულ მოზაიკას. მსოფლიოში 200-ზე მეტი სახელმწიფოა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ტერიტორიის ზომითა და მოსახლეობის რაოდენობით, არამედ ამ უკანასკნელის ეროვნული შემადგენლობით, გეოგრაფიული მდებარეობით, სახელმწიფო წყობითა და სახელმწიფოს მოწყობის პრინციპების მიხედვით. მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის პრინციპს არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. ეს გარემოება დიდად არის დამოკიდებული მათი სოციალური-ზაციისა და პოლიტიზაციის დონეზე, საზოგადოების, მთლიანად სახელმწიფო მმართველობის ურთიერთობათა სისტემებში სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის წესსა და ფორმებზე. როგორც ამბობენ, ყველა ეთნოსი თავისებურად თავის „ქვაბში გამოიხარშა“ და ასეთი შედეგადებული ერთობები თავს იქაც გვახსენებენ, სადაც მათ იეიწყებენ, სადაც ცდილობენ მათ ასიმილაციას. სწორედ ამგვარ ტენდენციას გამოხატავდა ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისმის ასაშენებლად ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირების ამოცანა, რომელიც 1990 წელს კრახით განიცადა.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე საბოლოო მრავალრიცხოვანია - ჩინეთი (1,2 მლრდ. ადამიანი), ყველაზე მცირე კი - ვატიკანი (დაახლ. 1000 ადამიანი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით - სადაც ძირითადად მოსახლეობა ერთ ეროვნებას მიეკუთვნება - არის იაპონია, ხოლო მრავალეროვანია ჩინეთი, რუსეთი, აშშ, ასევე მთელი რიგი პატარა სახელმწიფოებიც კი, მათ შორის საქართველო, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე არაერთი ეთნოსისათვის მეორე სამშობლოს წარმოადგენს. მსოფლიოს ხალხთა ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს დიდი სიფრთხილის წინაშე აყენებს. ამიტომ ისინი ეთნოსებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხს ძალზედ ყურადღებით განიხილავენ და შესაბამის დასკვნებსაც აუქმარებლად, რომელიც განპირობებულია უმთავრესი მოთხოვნით - არ შეიძლება ეთნოსებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით მათი ალტერნატივის საკითხის დაყენება. თავის დროზე ზოგი მეცნიერის იდეებმა, გაუფრთხილებლობამ და პოლიტიკური დაკვეთის შესრულებამ ე.წ. „პრიმიტიულ ხალხებთან“ დაკავშირებით, განავეითარეს ანტისაკაცობრიო იდეები, რომლებსაც შესაბამისი პრაქტიკის განხორციელება მოჰყვა. ამგვარმა შეფასებებმა ასევე დიდი ზიანი მიაყენა მეცნიერულ მიდგომასაც. მაგალითად, ასეთი გაუფრთხილებლობის შედეგად საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ქართველთათვის მშობლიური ენის იგნორირებას ითვალისწინებდა. სწორედ ამ დაუდევრობას ქვეყანაში მოჰყვა ის უმძლავრესი ტალღა, რამაც აიძულა მაშინდელი ხელისუფალნი გაეთვალისწინებინათ საერთო ქართული ინტერესები და დაეკმაყოფილებინათ ხალხთა სამართლიანი მოთხოვნები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართველი ხალხის გვერდით მრავალეროვანი საქართველოს თითქმის ყველა ეროვნების ადამიანი ქართველების სამართლიან მოთხოვნას თანაუგრძნობდა და იმ მიმეღლებში მათ გვერდით იმყოფებოდნენ.

ამდენად, ყოველი ხალხის ეროვნული ღირსებები ითვალისწინებს მათ სათანადო დაფასებასა და დაცვას. ამ თავისებურებათა შესწავლას არაერ-

თი სამეცნიერო დისციპლინა ემსახურება, რომლებშიც შემუშავებულ იქნა კლასიფიკაციის არაერთი ნიშანი. როგორც წესი, კლასიფიკაციის შემუშავების შედეგად იქმნება სისტემა, რომელშიც კლასიფიკაციის მეთოდს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია, რომ მეცნიერებაში კლასიფიკაციის პრობლემის პირველი ავტორი არისტოტელე (384-322) იყო. ადამიანის შესწავლის უმაღლესი მიღწევები ანტიკურ პერიოდში არისტოტელეს სახელს უკავშირდება. არისტოტელემ მოახდინა ფუნქციების მიხედვით ორგანოთა კლასიფიკაცია და შეისწავლა მათი ურთიერთკავშირი. აღსანიშნავია არისტოტელეს შეხედულება ადამიანთა ორგანოს - ხელების შესახებ, რომელსაც მან „ინსტრუმენტთა ინსტრუმენტი“ უწოდა. მის მიერ შემუშავებულმა პრინციპმა არსებათა საფეხურებრივი განლაგების შესახებ დიდი გავლენა მოახდინა XVIII საუკუნეში ევოლუციური თეორიის ჩამოყალიბების პროცესზე. კლასიფიკაციის საშუალებით ხდება კვლევის ან დაკვირვების ობიექტების როგორც წესი, დაჯგუფებათა პროცესი მათი საერთო ნიშნების შესაბამისად. ამის შედეგად სახეზე გვაქვს მსოფლიოს ხალხების კლასიფიკაცია შემდეგი საფუძვლების მიხედვით: გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ენობრივი, სამეურნეო-კულტურული, რელიგიურ-კულტურული.

თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობა სხვადასხვა კონტინენტზე არათანაბრად არის განსახლებული. გეოგრაფიული გარემოს გარდა, მოსახლეობის კლასიფიკაცია განპირობებულია აგრეთვე ანთროპოლოგიური, ენობრივი, სამეურნეო-კულტურული და რელიგიურ-კულტურული პრინციპების მიხედვითაც. მათ საფუძველზე მსოფლიოს მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალ ხალხს წარმოადგენს, რომელიც მათი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი განვითარების, განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, სამეურნეო და სოციალურ პირობებში ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა. ამავე დროს ეთნიკური საზღვრები არასდროს არ იყო უცვლელი, რადგან თავიანთი ისტორიის განმავლობაში ხალხებს მუდმივად ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტი, ცვლიდნენ ერთმანეთის კულტურულ მიღწევებს, და შეეროვნდნენ ხოლმე ერთმანეთს. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, ამა თუ იმ ერთიან ბიოლოგიურ მიკუთვნებულობასთან ერთად, განაპირობებდა დედამიწის მთელ მოსახლეობაში ბევრი საერთო ნიშან-თვისების ჩამოყალიბებას მთლიანობაში განხილული კლასიფიკაციის სხვადასხვა ხერხები ეთნოსების ფართო ნიშნებით სისტემატიზირების შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ეთნოსი, სრულიად ბუნებრივად, კლასიფიკაციის სხვადასხვა სქემაში თავსდება.

გეოგრაფიული კლასიფიკაცია. კაცობრიობა დედამიწის ყველაზე ზომიერ და თბილ ქვეყნებსა და კუნძულებზე, ასევე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ცივ სარტყელში არის განსახლებული. მისი საცხოვრებელი ადგილის ყველაზე ჩრდილოეთი პუნქტი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დევს 80°-ზე, სამხრეთ ნახევარსფეროში კი - 55° სიფართოვეზეა.

ასე, რომ ადამიანთა დედამიწაზე დასახლების მიხედვით ჩანს, რომ მათი თავშესაფარი ძირითადად ჩრდილოეთი ნახევარსფეროა და იგი სამხრეთთან შედარებით იძლევა თავისი მდგომარეობით, ფორმითა და სივრცითი განვითარებისათვის მეტ შესაძლებლობას. მთლიანობაში წარმოადგენილი კაცო-

ბრიობის სურათი შემდეგნაირია: მისი ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს უფრო მჭიდროა, ვიდრე დანაწევრებული სამხრეთი, ე.ი. ნეგროიდები უფრო სამხრეთშია, ხოლო ჩრდილოეთში არიან მონგოლოიდები და თეთრკანიანი რასის წარმომადგენლები.

რაც შეეხება საქართველოს, მას ცენტრალური ადგილი უჭირავს კავკასიაში. იგი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ამ რეგიონის პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრს.

გეოგრაფიული, ანუ არეალური კლასიფიკაცია ხალხების გეოგრაფიული მუზობლობის პრინციპს ეყრდნობა. ის ეფუძნება ხალხთა ჯგუფის რომელიმე განსაზღვრულ, უფრო ხშირად ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრებას. გეოგრაფიული კლასიფიკაციისას ხალხები მსხვილი რეგიონების მიხედვით არიან დაჯგუფებულნი. ამ რეგიონებს ხშირად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ან ისტორიულ-კულტურულ ოლქებსაც უწოდებენ, სადაც კულტურული ერთობები ჩამოყალიბდა. გეოგრაფიულ კლასიფიკაციას ერთგვარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დარაიონებადაც განიხილავენ. გეოგრაფიული კლასიფიკაცია სხვადასხვა ხალხებით დასახლებული პირობითი გეოგრაფიული რეგიონების არსებობას ითვალისწინებს. ამის საფუძველზე არსებობს „კავკასიის ხალხების“, „ჩრდილოეთის ხალხების“, „აღმოსავლეთ ევროპის ხალხების“, „ოკეანის ხალხების“ ცნებები. კლასიფიკაციის ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენება, რამდენადაც ის შეეფარდება ვრცელ ზონებს, რომლის ფარგლებშიც შეინიშნება მისი შედარებითი თანხედრობა ეთნიკურ პრინციპებთან. კლასიფიკაციის გეოგრაფიული პრინციპები წარმოდგენას გვიქმნის ეთნოსების რეგიონების მიხედვით განაწილებასა და განფენილობაზე. ამიტომ გეოგრაფიული კლასიფიკაცია მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს ხალხების ეთნოლოგიური დახასიათების დროს.

ხალხთა გეოგრაფიული კლასიფიკაცია ჯერჯერობით სათანადოდ არ არის დამუშავებული და არც არსებობს საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია. რეგიონების საზღვრების ყველაზე მარტივ დანაყოფებად შეიძლება დავასახელოთ: ავსტრალიისა და ოკეანის ხალხები (მელანეზია, პოლინეზია, მიკრონეზია), დასავლეთ აზიის ხალხები, შუა აზიისა და ყაზახეთის ხალხები, სამხრეთ აზიის ხალხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის ხალხები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები, ჩრდილოეთ ამერიკის ხალხები, სამხრეთ ამერიკის ხალხები, დასავლეთ ევროპის ხალხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, კავკასიის ხალხები, აფრიკის ხალხები (ჩრდილოეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ტროპიკული, დასავლეთ ტროპიკული, სამხრეთი), ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები.

ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია. ანთროპოლოგიური მასალის კომპლექსური კვლევა პრაქტიკულად გვიჩვენებს ეთნიკური ჯგუფის ძელოვან ნაშთებში ჩაბეჭდილ მთელ ისტორიას. ამ მასალებზე კარგად ჩანს უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის მემკვიდრეობითობა, უძველესი ერთობლიობა და მისი კვალი, რომელიც უკვე დაკარგულია ისტორიულ, ეთნოლოგიურ, ლინგვისტურ წყაროებსა და მონაცემებში. ამავე დროს ხალხთა კულტურული და ენობრივი ნათესაობა ხშირად არ შეესაბამება მათ წარმომავლობით ნათესაობასა და საერთო გენოფონდს, რადგან ენა და კულტურა შეიძლე-

ბა გავრცელდეს მათი მატარებლის გარეშე, ხოლო ანთროპოლოგიურ ტიპს ყოველთვის თან ახლავს ენისა და კულტურის გავრცელება. ანთროპოლოგიური მეცნიერება ადამიანთა ჯგუფებს ერთმანეთისაგან განასხვავებს რასობრივი ნიშნების მიხედვით. თავის მხრივ რასა ადამიანთა განსხვავებულ ფიზიკურ ტიპებს წარმოადგენს. მაშასადამე, ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური ნიშნის მიხედვითაც, ანუ სხეულებრივად. ადამიანთა რასები ხალხთა იტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფებია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან წარმომავლობით, რაც გამოიხატება მეშვეიდრობითი და ფიზიოლოგიური ნიშნებით. ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ადამიანთა რასებს შორის მსგავსება დიდია, განსხვავება კი — შედარებით მცირე. სამეცნიერო მონაცემები ადასტურებენ, რომ ადამიანთა ყველა რასა მომდინარეობს ერთი ან რამდენიმე ახლოს მდგომი ნამარხი პომინიდიდან.

ადამიანები საკუთარი ანთროპოლოგიური, ანუ ფიზიკური თვისებების მიმართ თუ რამდენად იყვნენ დაკვირვებულნი, კარგად ჩანს ხელოვნების უძველესი ძეგლების მიხედვითაც. ყოველი ეთნოსის თავისებურებების შესწავლა თვალსაჩინოს ხდის იმ გარემოებას, თუ რამდენად ბუნებრივად აღიქვამენ ისინი თავიანთ ფიზიკურ მონაცემებს. მიუხედავად ამისა, მათში შეინიშნება მისწრაფება „იდეალური გარეგნობისადმი“, რასაც ეთნოგრაფიულ ყოფაში რწმენა-წარმოდგენათა ფართო სისტემის შემონახულობაც მოწმობს. ასე მაგალითად, სამხრეთაფრიკულ ტომებში ქალების სილამაზედ ძალიან მაღალი ყელი ითვლებოდა. ამ მიზნით გოგონას კისერზე ადრიდანვე შავ თებდნენ სარტყელს.

თავისებური ზრუნვა ფიზიკური სრულყოფისადმი ქართულ ყოფაშიც დასტურდება. ბავშვის გარეგნობაზე მის განჩინაძეც ზრუნავდნენ და როდესაც ორსულ ქალი პირველად იგრძნობდა მუცელში ბავშვის ამოძრავებას, იგი ცდილობდა, ლამაზი ადამიანისთვის შეეხედა, რომ იგი მისი მსგავსი დაბადებულყოფ. ასევე, ყურადღება ექცეოდა ბავშვის აკვანში ჩაწვევის წესებსაც. ბავშვს თავი ლამაზი რომ ჰქონოდა, ბალიშის ქვეშ სიმინდის ტაროს დაუდებდნენ. ხალხური შეხედულებით ქალი მამაკაცზე ლამაზი უნდა ყოფილიყო, რაც შემდეგი გამონათქვამიდანაც ჩანს — „თიხის კაცს ოქროს ქალი ერგებაო“. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ზრუნვა შეინიშნებოდა გოგონას გარეგნობის მიმართ. ასე მაგალითად, გოგონას ფეხის სიგრძე ზომიერი რომ ყოფილიყო, დილით ადრე მოზარდს ბრინჯის „საცხეველ“ ქვაზე ფეხს შემოუხაზავდნენ.

საგულისხმოა, რომ მრავალ მოგზაურისა თუ მკვლევარის მიერ არაერთგზის არის შენიშნული და ხშირად ხოტბაშესხმული ქართველების სილამაზე და მათი პოპულარობა. ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის შედეგები ქართველთა შესახებ. შემდეგნაირია: ქართველები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის სამხრეთ-ევროპეიდულ ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ განშტოებაში შემავალი დიდი წინააზიური ქვერასის წინააზიურ ტიპს, რომელიც თანამედროვე ქართულ მოსახლეობაში წარმოდგენილია კოლხური, იბერიული და კავკასიური ლოკალური ტიპებით. მკვლევართა მიერ დად-

გენილია ისიც, რომ ქართველთა შორის გავრცელებული ანთროპოტიპები უშუალო კავშირში იმყოფება კავკასიის დანარჩენ მოსახლეობაში მოძიებულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან.

მეცნიერებაში გამოყოფენ წარმოშობის ერთიანობით დაკავშირებულ ოთხ დიდ რასას. ყველა დიდი რასა ქვერასებად, ანუ მცირე რასებად იყოფა. დიდი რასებია: **ევროპეიდული, მონგოლოიდური, ნეგროიდული და ავსტრალიდური.** მსოფლიოში ყველაზე მეტნი ევროპეიდები არიან(42%), შემდეგ მოდიან მონგოლოიდები (20%), ნეგროიდები(7%) და ავსტრალიდები(1%).

ევროპეიდებში გამოყოფენ ხუთ ქვერასას: ა)ჩრდილოევროპულს (სკანდინავიელები); ბ)შუაევროპულს (გერმანელები); გ)სამხრეთევროპულს, ხმელთაშუაზღვისპირულს (იტალიელები, ესპანელები, ბერძნები); დ)წინააზიურსა (თურქები, სპარსელები, არაბები) და ე)კავკასიურს. **მონგოლოიდების** ამერიკულ შტოს მიაკუთვნებენ: ა) ჩრდილოამერიკულ ტიპს; ბ) ცენტრალურ-ამერიკულ ტიპს; გ) სახრეთამერიკულ ტიპს. მონგოლოიდების აზიური შტოდან შეიძლება დავასახელოთ: დ)კონტინენტური ტიპი (მონღოლეთი, ჩინეთი); ე) წყნაროკეანური ტიპი (იაპონია) ვ)ჩრდილოაზიური ტიპი. **ავსტრალიდებში** სამი ქვერასა გამოიყოფა: ა)აბორიგენები; ბ)მალონეზიელები, პაპუასები; გ) ნეგრიტოსები (სუმატრა და სხვა). სამი ქვერასა გამოიყოფა **ნეგროიდებში**: ა) ნეგრული; ბ)ნეგრილური; გ)სამხრეთ-აფრიკული.

ძირითადი ანუ დიდი რასების საკონტაქტო ზონებში არსებობს გარდამავალი და შერეული რასობრივი ტიპები. ისინი ჩამოყალიბდნენ არამარტო ძველად, შუასაუკუნეებში, არამედ ყალიბდებიან დღესაც, მეტისაცის გზით. მაგალითად, აფრიკის აღმოსავლეთში გარდამავალ რასად მიიჩნევა ეთიოპური რასა. ის ნეგროიდებსა და ევროპეიდებს შორის გარდამავალი რასაა. ცხვირის ფორმითა და თავის ქალთ ეთიოპიელები თითქმის არ განსხვავდებიან ევროპეიდებისაგან. მაგრამ კანი მათ ისეთივე მუქი აქვთ, როგორც ზანგებს. შერეული ტიპის ტიპური წარმომადგენლები არიან ამერიკის მეტისები და მულატები. დიდი რასების შიგნით გამოყოფენ უფრო დანაწილებულ რასობრივ ერთეულებს.

ევროპეიდები გამოირჩევიან სხვადასხვა შეფერილობის ტალღოვანი და სწორი რბილი თმებით, ღია ან შავგვრემანი კანით, თვალის გარსის ნაირფერი შეფერილობით (თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი, ცისფერი). ევროპეიდებს მესამეული თმის საფარი ძლიერ აქვთ განვითარებული, კერძოდ, მამაკაცებში — წვერი. მათთვის დამახასიათებელია ღაწვის ძვლის სუსტად ან საშუალოდ წინ წამოწევა, ყბაც უმნიშვნელოდ აქვთ წინ წამოწეული (ორტოგნატიზმი). ევროპეიდებს ახასიათებთ თხელი და ოდნავ წამოწეული ცხვირი, თხელი ან საშუალო სისქის ტუჩები. ევროპეიდების ფორმირების კერაა სამხრეთ-დასავლეთი აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ ევროპა. ევროპეიდთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: სამხრეთის (შავგვრემანი კანით, უმეტესად მუქი თვალებითა და თმით), ჩრდილოეთისა (ღია ფერის კანით, ცისფერი თვალებით, ქერა თმებით) და გარდამავალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საშუალო ინტენსივობის პიგმენტაცია. სამხრეთ ევროპეიდებს, მათი განსახლების არეალიდან გამომდინარე, ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას უწოდებენ. ევროპეიდებს თავიანთი არეალის აღმოსავლეთ საზღვრებზე უძვე-

დღესი დროიდან მონგოლოიდობათან ჰქონდათ ურთიერთობა. ადრეულ ხანაში მათი შერევის შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში დაიწყო, ციმბირის ჩრდილო-დასავლეთსა და ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ურალური რასა (ხანტი, მანსი და სხვ.), რომლისათვისაც დამახასიათებელია მონგოლოიდურ-ევროპეიდული თავისებურებების შუალედური შეთანაწყობა. ურალურთან ბევრი ნიშნითაა ახლოს ლაპონოიდური რასა ძალიან დაბალი სახით (სამები). ზოგიერთი ანთროპოლოგი ამ ორ რასას ერთ — ურალ-ლაპონოიდურ რასაში აერთიანებს, რომლის თავისებურებანი უფრო იშვიათი ფორმებით გამოხატულია უდმურტებში, კომი-პერმელში, მარილებში, მორდოველთა ზოგიერთ ჯგუფში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ურალური რასის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ძველი მონგოლოიდური რასის დეპიგმენტირებულმა (დეპიგმენტაცია — კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა) პოპულაციამ. გვიან (ახ.წ. I საუკუნიდან) ურალსა და ენისეის შორის არსებულ სტეპურ ზოლში მონგოლოიდებისა და ევროპეიდების შერევის პროცესში ჩამოყალიბდა სამხრეთ ციმბირული რასა, ძალიან ფართო სახითა და მოკლე თავით. შუა საუკუნეებში შუა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შერეული ევროპეიდულ-მონგოლოიდური ახალი პოპულაციები (უზბეკების ნაწილი, უიღურები, საღარები).

საუკუნეების მანძილზე დაწყებული რასების შერევის პროცესი სულ უფრო ჩქარდება. ამის შედეგად თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობის 30% შერეულ და გარდამავალ რასობრივ-ჰეტეროგენულ ჯგუფებს მიეკუთვნება. ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში რასების ინტენსიური შერევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ორი ან სამი რასობრივი კომპონენტის შერევის შედეგად.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ძალზე რთულია აზია. აქ ოთხივე დიდი რასის წარმომადგენელი გვხვდება. ევროპეიდები აზიის მოსახლეობის 29%-ს შეადგენენ. აზიელი მონგოლოიდები შეადგენენ 31%-ს. აქვეა მონგოლოიდურ და ავსტრალიდურ რასებს შორის შერეული და გარდამავალი ფორმები. აზიაში ავსტრალიდური რასის წარმომადგენლები ბევრნი არ არიან (დაახლ. 9 მილ. კაცი), მაგრამ ისინი ფართოდ არიან განსახლებულნი.

აფრიკის მოსახლეობის 54% მიეკუთვნება დიდ ნეგროიდულ რასას. მოსახლეობენ საჰარის უდაბნოს სამხრეთით. სამხრეთ ევროპეიდები (ხმელთა-შუაზღვისპირული) აფრიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტს შეადგენენ და განსახლებულნი არიან კონტინენტის ჩრდილოეთში საჰარის უდაბნომდე. მათ მიეკუთვნებათ არაბთა დიდი ნაწილი და ბერბერები. აფრიკის სამხრეთში მკვიდრობს ხუთი მილიონი ევროპეიდი, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. აფრიკაში ევროპეიდებსა და ნეგროიდებს შორის გარდამავალ, შუალედურ ფორმას მიეკუთვნებიან ეთიოპიელები. შერეული ფორმის ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სუდანის მოსახლეობაც, რაც ნეგროიდებში არაბულენოვანი სამხრეთ ევროპეიდების შეჭრამ განაპირობა.

ამერიკის მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა მეტად ჭრელია. საზღვარს ამ ნაწილის მოსახლეობის ფორმირებაში მონაწილეობდა სამი დიდი

რასა. ბორიგენულ მოსახლეობას წარმოადგენენ მოსახლეობა ინდიელები, ესკიმოსები და ალუტები. დღეისათვის ამერიკაში დიდი რასებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ევროპეიდული რასა (აშშ-სა და კანადის მოსახლეობის 9/10, ლათინური ამერიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი). ლათინურ ამერიკაში ევროპეიდებს შორის ჭარბობენ სამხრეთის ჯგუფის წარმომადგენლები: ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები.

ამერიკაში, რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილი უკავიათ მეტისთა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც ინდიელთა და ევროპელთა შთამომავალნი არიან. შედარებით მცირერიცხოვანნი არიან მულატები (ევროპეიდებისა და აფრიკელი მოსახლეობის ნარევი). რაც შეეხება ინდიელთა და ნეგროიდთა ნარეუს, ისინი სამბოს სახელით არიან ცნობილები. მთლიანად ამერიკის კონტინენტზე ევროპეიდები მთელი მოსახლეობის 51%-ს შეადგენენ, მეტისები - 23%-ს, მულატები - 13%-ს, ნეგროიდები - 7%-ს, მონგოლოიდ-ინდიელები - 5,5%-ს.

ავსტრალიასა და ოკეანიაში ევროპელები მოსახლეობის 77%-ს შეადგენენ, მელანეზიელები და პაპუასები - 16,5%-ს, პოლინეზიელები და მიკრონეზიელები - 4,2%-ს.

ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის საყოველთაოდ აღიარებულ რასობრივ ნიშნად მიჩნეულია თმის ფორმა და მესამეული თმის საფარველის (ულვაში, წვერი) განვითარების ხარისხი, ასევე, პიგმენტაცია ანუ კანისა და თმის შეფერილობა. ნაკლები მნიშვნელობის რასობრივ ნიშნებს მიეკუთვნება სიმაღლე, წონა, სხეულის პროპორცია, სახისა და თავის ნიშნები (**ბრაზიმორფული** (ბერძნ. "ბრაზოს" - მოკლე და "მორფა" - ფორმა), **დოლიხომორფული** ("დოლიხოს" - გრძელი), **მეზომორფული** ("მეზოს" - საშუალო)). მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშნების მატარებელია ცხვირი და მისი მიდამოები, აგრეთვე პირი და პირველ რიგში ტუჩების სისქე, შესაძლებელია საკლასიფიკაციო მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა ნიშანსაც - სისხლის ჯგუფს, გენურ მონაცემებსა და სხვ.

ენობრივი კლასიფიკაცია.

ლინგვისტები დაახლოებით 6000 ენას ითვლიან, რომელთა შორის მხოლოდ 100 - ზე მეტს გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა. ამ ენათა დაახლოებით 40% მომაკვდავია, რადგან მათზე ძირითადად რამდენიმე ათეული ან ასეული ადამიანი ლაპარაკობს. ორიგინალური ნიმუშებიდან ჩვენამდე 40-მდე დამწერლობამ მოაღწია. ამათგან მხოლოდ 22 სახელმწიფო იყენებს ორიგინალურ დამწერლობას.

მრავალფეროვანი ენობრივი მასალები გენეალოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე შეადგენს ნათესაურ ჯგუფებსა და განშტოებებს, რომლებიც გაერთიანებულია უმაღლეს კლასიფიკაციურ ფორმაში - ენათა ოჯახში.

ეთნოგრაფიაში ლინგვისტური კლასიფიკაცია დამყარებულია ენათმეცნიერებაში არსებულ გენეალოგიურ კლასიფიკაციაზე. ეთნოსსა და ენას შორის არსებობს ორგანული კავშირი. ენათა ოჯახების, მათი განშტოებებისა და ჯგუფების შიგნით არსებული ნათესაური ხარისხის დადგენა მეცნიერებს საშუალებას აძლევს აგებულ იქნას კლასიფიკაციის სქემა უწინარესად ნათესაობის ნიშნის მიხედვით.

ლინგვისტები ენის წარმოშობის თარიღად 40 000 წელს მიიჩნევენ. მსოფლიოს 6000 ენიდან მხოლოდ ას ენას აქვს დამწერლობა. რაც შეეხება საკუთარ დამწერლობას, იგი მხოლოდ 14 -ია. მსოფლიოში აღრიცხულ 14 ანბანს შორის ქართული ანბანი სპეციალისტების მიერ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილად არის მიჩნეული. მის შექმნის თარიღს ერთნი ვარაუდობენ ძვ.წ. VII-III სს-ის მანძილზე, სხვები ძვ.წ. Vს - დან ახ.წ. IV ს-შიც. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია კი ქართული მწიგნობრობის შემქმნელად ქართლის (იბერიის) მეფე ფარნავაზს (ძვ. წ. IV-III სს.) წარმოაჩენს. მსოფლიოს ხალხებისათვის (ეთნოსებისათვის) ენა ეთნიკურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. ერთი ეთნოსის წარმომადგენელი ყველა ადამიანი, როგორც წესი, ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც მათთვის მშობლიურია. მაგრამ გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო დიდი გადასახლებები, რის შედეგადაც დამოუკიდებელი ეთნოსები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ასეთ ენებს წარმომადგენენ ინგლისური ენა (ევროპაში, სადაც ინგლისური ენა წარმოიქმნა, ამ ენაზე მოლაპარაკეთა მხოლოდ 17% ცხოვრობს), ესპანური ენა (ევროპაში, სადაც ესპანური ენა წარმოიქმნა, ესპანურ ენაზე მოლაპარაკეთა დაახლოებით 12% მკვიდრობს), ასევე, გერმანული ენა, ფრანგული ენა, არაბული ენა, რუსული ენა და სხვ. ასე, რომ ცალკეულ ხალხთა განსახლების საზღვრები და ენათა გავრცელების არეალები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხალხები, რომელთა ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. დღეს შოტლანდიელებს, ანუ გელებს დაახლოებით 100 000-მდე ითვლიან და მათი დიდი უმრავლესობა სალაპარაკო ენად იყენებს ინგლისურს, თუმცა ისინი ინგლისურთან ერთად კელტური ჯგუფის განსაკუთრებულ ენაზეც (ე.წ. გელურ ენაზე) ლაპარაკობენ, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ქვეყანაში. ასევე, დიდ ბრიტანეთში ორენოვანნი არიან ვალიელები ანუ უელსელები და ირლანდიელები.

ლინგვისტები დღეს ენათა ოცამდე ოჯახს გამოყოფენ, რომელთაგანაც ყველაზე კარგადაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი და რომელზედაც ევროპისა და ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს. ინდოევროპულ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს.

აფროაზიური, ანუ სემიტურ-ქამიტური ენების ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ევროპაში ინდოევროპული ენების გარდა გავრცელებულია ურალურ ენათა ოჯახის ენები (უნგრეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, სკანდინავიის ჩრდილოეთი).

თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ ერთ ენაზე ძალზე მცირე რაოდენობის ქვეყნებში საუბრობენ. ამ რიგს ძირითადად ევროპის ქვეყნები მიეკუთვნებიან. ზოგიერთ ქვეყანაში ათეულობით ენაზე მეტყველებენ. მაგალითად, ნიგერიასა და რუსეთში ასზე მეტი ენაა გავრცელებული. ყველაზე გავრცელებული ენებია: ჩინური, ინგლისური, ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ესპანური, რუსული, ბენგალური, ინდონეზიური, არაბული, პორტუგალიური, იაპონური, გერმანული და ფრანგული. ჩამოთვლილ ენებზე კაცობრიობის ორი

მესამედი ლაპარაკობს. დღეს საერთაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქცია ინგლისურ ენას აქვს მოპოვებული. XVIII ს.-ში ასეთი ენის ფუნქცია ფრანგულს ეკისრებოდა.

მსოფლიოში არსებული ენები ისტორიული ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით ოჯახებად არის დაჯგუფებული. მართალია ენათა ოჯახი საქმაოდ ბევრია, თუმცა რამდენიმე ენა გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, რადგან მათი ნათესაობა რომელიმე სხვა ენასთან დამტკიცებული არაა. ესენია: ბასკური (ესპანეთსა და საფრანგეთში), კეტური (ენისეი აუზში), ნიგხური (რუსეთის შორეულ აღმოსავლეთი), აინური (იაპონიაში), კორეული, იაპონური, იუკაგირული (აღმოსავლეთ ციმბირი), ბურუშული (ინდოეთის ქაშმირის პროვინცია), ნახალი (ინდოეთში), კუსუნდა (ნეპალში), ახალი გვინეის რვა ენა (ბორუმესო, ვარენბორი, პაუვი, მასეპი, იური, ნაგატმანი, ბუსა, პორომე).

1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი ყველაზე კარგად არის შესწავლილი. ამ ოჯახის ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს. ინდოევროპულ ენათა ოჯახი 10 ჯგუფად იყოფა: სლავური, ბალტიური, გერმანული, კელტური, რომანული, ბერძნული, ალბანური, ირანული, ინდოარიული და სომხური.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **რმანულ** ენათა ჯგუფში შედის: იტალიური, ფრანგული, პროვანსალური, სარდინიული, ესპანური, პორტუგალიური, კატალანური, რეტორომანული, რუმინულ-მოლდოვური ენები. პორტუგალიურთან ძალიან ახლოს დგას გალისიური ენა. აღნიშნულ ენათა ოჯახის ბევრი ენა დღეს მკვდარია და მათზე აღარავინ ლაპარაკობს (ლათინური, ლათინური, ოსკური, უმბრიული ენები). ლათინური ენა საფუძვლად დაედო ყველა რომანულ ენას. ამ ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება. ლათინური ენა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ენაა.

გერმანულ (გერმანიკულ) ენათა ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა. პირველი ქვეჯგუფი (ჩრდილოგერმანული, ანუ სკანდინავიური) აერთიანებს დანიურ, შვედურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ და ფარერულ ენებს. დასავლურგერმანულ ქვეჯგუფში შედის ინგლისური, გერმანული, პოლანდიური, ფრიზული ენები. ამავე ქვეჯგუფში შედის აფრიკანსი და იდიში. აღმოსავლურგერმანულ ქვეჯგუფში ორი მკვდარი ენა შეაქვთ. ესენია ვესტგოთური (ე.ი. დასავლურგოთური ენა) და ოსტგოთური (აღმოსავლურგოთური ენა). ვესტგოთური ენა ყველაზე ძველი გერმანული დამწერლობის მქონე ენაა. IV საუკუნეში გოთური ანბანით დამწერლობა შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ. მანვე თარგმნა სახარება. ოსტგოთურმა ენამ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსა და ყირიმში XVI-XVII საუკუნეებამდე იარსება.

სლავურ ენათა ჯგუფიც სამი ქვეჯგუფისაგან შედგება. აღმოსავლურ სლავურ ენებს მიეკუთვნება რუსული, უკრაინული და ბელორუსული. სლავური ენების დასავლურ ქვეჯგუფში შედის: ჩეხური, სლოვაკური, პოლონური და მასთან ახლოს მდგომი ქაშუბური, ლუჟიური ენები. სამხრეთული ქვეჯგუფი წარმოდგენილია ბულგარულ-მაკედონიური, სლოვენური და სერბულ-ხორვატული ენებით. სლავურ ენათა ჯგუფის მკვდარი ენებია ძველი სლავური (ანუ ძველი საეკლესიო სლავური) ენა, პოლაბური ენა, სლოვინური ენა, პომორული ენა.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის აგრეთვე შემდეგი ჯგუფები: კელტური, ბალტიური, ინდური, ირანული, ახალი ბერძნული, ალბანური და სომხური ენები. არსებობდა ძველბერძნული და საშუალობერძნული, ანუ ბიზანტიური ენები (ფუნქციონირებდა როგორც ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა VI-XIV სს-ში).

2. აფროაზიური ანუ სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახი (მსოფლიოს მოსახლეობის 5%) გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, არაბეთის ნახევარკუნძულზე და მისგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში: სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ერაყში. აფროაზიურ, ანუ სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახი ხუთი ჯგუფისაგან შედგება: სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. მკვდარი სემიტური ენებია: აქადური (ასურულ-ბაბილონური). ამ ენაზე შესრულებულია ლურსმული წარწერები ძვ.წ. 2800-650 წლებში, უგარიტული, ძველებრაული ენები. დღეს ეს უკანასკნელი გარკვეული ცვლილებებით აღდგენილ იქნა და წარმოადგენს ისრაელის სახელმწიფო ენას იერიტის სახელწოდებით. არამეული ენა (წინა აზიაში გავრცელებული იყო ძვ.წ. III - ახ.წ. IV სს.-ში. ის ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენაა). ფინიკიური ენა (ფინიკიური თანხმოვანი ანბანი; დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება), რომელიც, ფაქტობრივად, ბიბლიის ებრაულთან ერთად ერთი, ქანაანური, ენის დიალექტს წარმოადგენდა.

3. ურალურ ენათა ოჯახი. ის ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინურ-უგრული, ანუ უგრო-ფინური და სამოიდური.

4. ალთაურ ენათა ოჯახი. ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება: თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული ჯგუფის ენები.

5. 6. იბერიული და კავკასიური ენები. ადრე ენათა ერთ ოჯახად იყო წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიური ენები. ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ქართველურ (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%) და ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახების სახით მოიხსენებენ. ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ფასეულობათა სისტემაში მშობლიურ ენას „მამულის“ და „სარწმუნოების“ თანაზომიერი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ქართული ენა მის ახლომონათესავე ზანურ(მეგრულ-ჭანურ ანუ კოლხურ) და სვანურ ენებთან ერთად ქართველურ ენათა ოჯახს წარმოადგენს. ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებია: აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%). ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახში შედის ტაბასარანელთა ენა. მასში არის 44 ბრუნვა, რამდენიც მსოფლიოს არცერთ ენაში არ მოწმდება.

7. დრავიდული ჯგუფის ენები სამხრეთ ინდოეთშია გაბატონებული (მსოფლიოს მოსახლეობის 4%). ზოგიერთი კლასიფიკაციით იგი შეიძლება ჯგუფისაგან შედგება, სხვა კლასიფიკაციით კი ოთხი ჯგუფისაგან. დრავიდულ ენებზე ლაპარაკობენ ძირითადად სამხრეთ ინდოეთსა და შრი-ლანკაში.

8. ესკიმოსურ-ალეუტური ოჯახის ენებზე მოსაუბრე მცირერიცხოვანი ხალხები ბინადრობენ გრენლანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთ პერიფერიებსა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში. მსოფლიოს მრავალი ენის გამოკვლევის საფუძველზე ბრიტანელი სწავლულების მონა-

ცემებით ყველაზე თავაზიანი ენა არის გრენლანდიის ესკიმოს-ინუიტების ენა. მასში არათუ სავინებელი სიტყვა, არამედ საწყენი სიტყვაც კი არ გვხვდება.

9. **ნიგერო-კორდოფანულ ენათა ოჯახზე** მსოფლიოს მოსახლეობის 6% ლაპარაკობს. გავრცელებულია დასავლეთ, ცენტრალურ, აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში. ოჯახში გაერთიანებულია სამი ჯგუფი — მანდუ, ნიგროკონგო, კორდოფანული. ნიგერო-კორდოფანული ენათა ოჯახის ჩრდილოეთით.

10. **ნილო-საჰარული ოჯახი** ცხრა ჯგუფს აერთიანებს და მასზე მსოფლიოს მოსახლეობის 0,6% მეტყველებს.

11. **კოისანურ ენათა ოჯახი** ძირითადად სამხრეთ აფრიკაშია თავმოყრილი და ის სამი ჯგუფისაგან შედგება.

12. **სინო-ტიბეტური ოჯახი.** იგი ინდოევროპულ ენათა ოჯახის შემდეგ რაოდენობრივად მეორე ადგილზეა. მასზე მსოფლიოს მოსახლეობის 23% ლაპარაკობს. გავრცელებულია აზიის აღმოსავლეთ, ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებსა და სამხრეთ აზიის უკიდურეს ჩრდილოეთში. ერთი კლასიფიკაციის მიხედვით სინო-ტიბეტურ ოჯახში 13 ჯგუფი შედის: ჩინური, ტიბეტო-ბირმანული, კაჩინური, ბოდო-გარო, მიჯუ, დიგარო, მირი, ჯიმალი, ლეფჩა, აღმოსავლეთჰიმალაური, ნეგარი, გურუნტი, დასავლეთჰიმალაური.

13. **ავსტროაზიური ოჯახის ხალხები** (მსოფლიოს მოსახლეობის 1,6%) აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სამხრეთში მკვიდრობენ. ერთ-ერთი კლასიფიკაციით ამ ოჯახში ხუთი ჯგუფი შედის: მონ-ქხმერული, ალისური, ნიკობარული, ქხასი, მუნდა.

14. **მიაო-იაოს ენათა ოჯახის** (მსოფლიოს მოსახლეობის 0,2%) გავრცელების არეალი საკმაოდ ვიწროა: აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. იგი იყოფა ორ ჯგუფად: მიაო და იაო. აზიაში პარატაულ ენათა ოჯახზე მსოფლიოს მოსახლეობის 1,4% მეტყველებს. ამ ოჯახის შემადგენლობაში ექვსი ჯგუფი შედის.

15. **ავსტრონეზიური ოჯახი.** სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ოკეანისა და ტაივანში განსახლებული არიან ავსტრონეზიური ოჯახის ხალხები (მსოფლიოს მოსახლეობის 5%). თანამედროვე კლასიფიკაციით ეს ოჯახი 6 ჯგუფად იყოფა.

16. **ანდამანური ოჯახი.** გაქრობის პირას მდგომი ანდამანური ოჯახი ანდამანის კუნძულებზე რამდენიმე მცირერიცხოვანი ხალხით არის წარმოდგენილი.

17. **ავსტრალიურ ენათა ოჯახი** სხვადასხვა მცირერიცხოვან ხალხებს აერთიანებს, რომლებიც კვლავაც შემორჩენილია კონტინენტზე. ის იყოფა 22 ჯგუფად, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი — პამა-ნიუნგაა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი. უფრო მცირერიცხოვანია რუსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში ლოკალიზებული ჩუკოტკო-კამჩატკურ ენათა ოჯახი. საინტერესოა ავსტრალიის ცალკეულ აბორიგენებში საკუთარი ენის არსებობა, ხოლო დიერის ტომებში ორიც კი არის. მათ შორის ერთი ჩვეულებრივია, ხოლო მეორე გამოიყენება მხოლოდ სიდდერის სიძესთან ლაპარაკის დროს. რაც შეეხება ყველაზე მარტივ ენას, ესაა პავაის ერთ-ერთი პოლინეზიური

დიალექტი, რომელშიც სულ ექვსი თანხმოვანი და ხუთი ხმოვანია, თანაც არც ერთი სიტყვა რთულად წარმოსათქმელი არაა. მაგრამ სასწავლად ძალზედ რთულ ენად მიიჩნევა.

ამერიკის კონტინენტზე ასეულობით ენა იყო გავრცელებული. დღეს ბევრი მათგანი გადაშენებულია. ამერიკელ ინდიელთა შორის დღეს ყველაზე გავრცელებული ენებია: **კეჩუა** (პერუში, ეკვადორში, ბოლივიაში, ჩილეში, კოლუმბიაში, არგენტინაში), **გუარანი** (პარაგვაი, ბრაზილია, ბოლივია, არგენტინა) და **აიმარა** (ბოლივია, პერუ). ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის ენები სუსტადაა შესწავლილი და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია არგუმენტირებული არაა.

რელიგიურ-კულტურული კლასიფიკაცია. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში რელიგია არსებით როლს ასრულებდა. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არამარტო მატერიალურ კულტურაზე, საზოგადოებრივსა და საოჯახო ყოფაზე, არამედ ეთნიკურ განვითარებაზეც. პირველყოფილ საზოგადოებაში ყველა ტომს მისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა. იმ დროისათვის ეს იყო მაგია, ტოტემიზმი, ანიმიზმი, წინაპართა კულტი, ბუნების კულტი და მრავალი სხვა.

ყველაზე ძველი რელიგი არის ინდუიზმი. იგი დაახლოებით 5 ათას წელს ითვლის. ინდუიზმი უფრო ცხოვრების წესი და კულტურაა, ვიდრე მოწესრიგებული რელიგიური ტრადიცია. ინდუიზმი სხვადასხვა მიმართულებების, მიმდინარეობების, რელიგიური სკოლებისა და სექტების კონგლომერატია და მრავალღმერთიანობის რელიგიას წარმოადგენს. სიქიზმი ინდოეთში გავლენიანი ნაციონალურ-რელიგიური ერთობაა. ის წარმოიშვა XV საუკუნეში როგორც ინდუიზმის რეაქცია ქვეყანაში მომძლავრებული ისლამის წინააღმდეგ. სიქიზმი დიდ წინააღმდეგობას უწევდა ისლამს, რაც ხშირად სისხლისმღვრელ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. მისი საფუძველი მკაცრი ერთღმერთიანობა და კასტური სისტემის საკრალური (და არა რეალური) უარყოფა გახდა. სიქიზმისათვის დამახასიათებელია ანტიასკეტიზმი. სიქებში არ იჭრიან თმებს, თან დააქვთ სავარცხელი, ხანჯალი, ლითონის სამაჯური. სიქები საერთოდ არ სვამენ ღვინოს, არ ეწევიან თამბაქოს და არ იყენებენ ნარკოტიკებს. ინდოეთის მოსახლეობის 2% სიქია. სიქების ნაწილი მოითხოვს პენჯაბში დამოუკიდებელი სიქური სახელმწიფოს - ხალისტანის შექმნას.

იუდაიზმი. იგი ძვ.წ. II ათასწლეულში წარმოიშვა ებრაელებში. იუდაიზმი მახლობელ აღმოსავლეთში წარმოქმნილი პირველი მონოთეისტური რელიგია იყო. დღეისათვის 14 მლნ. ებრაელი ანუ იუდაიზმის მიმდევარი ცხოვრობს მსოფლიოში.

ზოროასტრიზმი. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ძველ ირანელთა შორის წარმოიშვა და ტრანსფორმირებული სახით არის დღემდე შენარჩუნებული. ცეცხლთაყვანისმცემელები დღეს 300 ათასზე მეტნი არიან. ზოროასტრიზმს ახასიათებს დუალიზმი, ე.ი. წარმოდგენა კეთილი და ბოროტი საწყისისა და მათი ურთიერთბრძოლის შესახებ. ზოროასტრიზმის კულტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცეცხლისადმი თაყვანისცემა, რომელსაც

მიეწერება გამწმენდი ძალა. VI-VII საუკუნეებში ზოროასტრიზმი ირანის სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. აზიაში არაერთი სხვა პოლითეისტური რელიგია წარმოიქმნა, მაგრამ ისინი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიებად ვერ იქცნენ.

ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი წარმოადგენენ მსოფლიო მნიშვნელობის მონოთეისტურ რელიგიებს. ბუდიზმი ძვ.წ. VI-V სს.-ში წარმოიქმნა სამხრეთ აზიაში და ორი ძირითადი მიმართულებებისაგან შედგება. ბუდიზმი გენეტიკურად დაკავშირებულია ინდუიზმთან. მას საფუძველი ჩაუყარა პრინცმა სიდხარტა გაუტამამ, მეტსახელად „ბუდამ“ ანუ „განმანათლებელმა“. ახალი ერის დასაწყისში ბუდიზმში ორი ძირითადი მიმართულება გაჩნდა, რომლებიც დღემდე არსებობენ. ესენია ხანაინა („ვიწრო გზა“) და მახაიანა („ფართო გზა“). მახაიანას ნაირსახეობაა ტიბეტში წარმოქმნილი ლამაიზმი. ლამაიზმში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება წეს-ჩვეულებებს, შაესა და თეთრ მაგიას. ლამაიზმისათვის დამახასიათებელია მკაცრი საეკლესიო იერარქია, რომლის სათავეშიც დგას დალაი-ლამა. მახაიანისტები მსოფლიოს ბუდისტების დაახლოებით 2/3 შეადგენენ (350 მლნ.).

ჯანაიზმი ძვ. წ. VI-V საუკუნეებში წარმოიქმნა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ინდუიზმის რეფორმაცია. ჯანაიზმი უარყოფს კასტურ სისტემას, სქესობრივ დისკრიმინაციას, არ ცნობს ვედის ავტორიტეტს, გამოდის ღმერთების თაყვანისცემის წინააღმდეგ. ამ რელიგიის მიმდევართა რაოდენობა 4 მლნ. მეტია. მათი 95% ინდოეთში ცხოვრობს.

კონფუციანობა და დაოსიზმი ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჩინეთში წარმოიქმნა. თავდაპირველად ისინი წარმოადგენდა ორ ფილოსოფიურ-ეთიკურ მოძღვრებას, რომლებიც დროთა განმავლობაში რელიგიებად გარდაიქმნა.

ქრისტიანობა. ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში წარმოიქმნა ქრისტიანობა (ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან აითვლება). XI საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანობა ორ მიმართულებად – მართლმადიდებლობად და კათოლიკობად გაიყო. XVI საუკუნეში, რეფორმაციის შედეგად, კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი. პროტესტანტიზმი რამდენიმე თვითმოყოფად მიმდინარეობს მოიცავს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია ანგლიკანიზმი (ყველაზე ახლოს დგას კათოლიციზმთან), ლუთერანიზმი და კალვინიზმი. კალვინიზმი სამ ძირითად განშტოებად იყოფა: რეფორმატიზმი, პრესვიტერიანიზმი, კონგრეგაციონიზმი. ანგლიკანიზმის წიაღიდან არის გამოსული მეთოდიზმი. მეთოდიზმთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული სექტა „ხსნის არმია“, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი. კალვინიზმთან გენეტიკურადაა დაკავშირებული ბაპტიზმი. ბაპტიზტთა რიგებს გამოეყო 50-იანელთა სექტა. ბაპტიზმს გამოეყო აგრეთვე ადვენტიზმი, ადვენტიზმს კი – იელოვას მოწმეების სექტა.

ქრისტიანობის სამ ძირითად მიმდინარეობასთან ერთად (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი) არსებობს აგრეთვე ორი ნაკლებად გავრცელებული მიმართულება, რომლებიც ახ.წ. V საუკუნეში წარმოიქმნა: **მონოფიზიტობა** (მას მიეკუთვნებიან სომეხი გრიგორიანელები, ეთიოპიელები, კოპტები) და **ნესტორიანობა** (ნესტორიანელები არიან ასირიელები. ლიტურგია სრულდება ძველ ასირიულ ენაზე. ნესტორიანულ ტაძრებში არაა ხატები

და ქანდაკებანი. საქართველოში ცხოვრობს 6 ათასი ნესტორიანელი).

ისლამი წარმოიშვა ახ.წ. VII საუკუნეში არაბეთში. იგი წარმოქმნილია ნავე დაიყო სამ მიმართულებად: სუნიზმი, შიიზმი და ხარიჯიზმი. ფართოდ გავრცელდა მხოლოდ პირველი ორი. სუნიზმიდან და შიიზმიდან წარმოიქმნა მთელი რიგი სექტები. სუნიზმიდანაა წარმოქმნილი ვაჰაბიზმი. ძირითადი შიიტური სექტაა ზეიდიზმი.

სხვადასხვა რელიგიის, მათი მიმართულებების, მიმდინარეობებისა და სექტების გავლენა ერთნაირი არაა. ზოგიერთი მათგანი ითვლის ასეულ მილიონობით მიმდევარს, სხვები კი აერთიანებენ მხოლოდ რამდენიმე ათას ან ასეულ კაცს.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი რელიგია ქრისტიანობაა. ქრისტიანთა უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ამერიკასა და ევროპაში, ხოლო მათი მცირე ჯგუფები ცხოვრობენ აფრიკასა და აზიაში. ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანასა (ალბანეთი, ბოსნია და თურქეთის ევროპული ნაწილი) და ამერიკის ერთ ქვეყანაში (სურინამი) ქრისტიანები არ შეადგენენ უმრავლესობას. ავსტრალიასა და ოკეანიაში ყველა ქვეყანა უმეტესად ქრისტიანულია, გარდა ფიჯისა, სადაც ქრისტიანობას მხოლოდ მოსახლეობის ნახევარი მისდევს. აზიაში ქრისტიანები მცირე რაოდენობით მოსახლეობენ. ისინი ჭარბობენ მხოლოდ კვიპროსსა და ფილიპინებში (კათოლიკეები), ლიბანში კი მოსახლეობის დაახლოებით 2/5-ს შეადგენენ.

ლათინური ამერიკის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა. კათოლიკეა აგრეთვე კანადის მოსახლეობის 46%, ამერიკის მოსახლეობის 27%. კათოლიციზმის მიმდევრები ცხოვრობენ იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, ირლანდიაში (მოსახლეობის უმეტესობა). კათოლიკეები არიან აგრეთვე პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, უნგრელები, ხორვატები. ასევე, კათოლიკეები არიან გერმანიის, ნიდერლანდებისა და შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარი. მართლმადიდებლები არიან: ბერძნები, ქართველები, რუსები, რუმინელები, მოლდოველები, ბულგარელები, სერბები, მაკედონელები, ჩერნოგორიელები, ესტონელების ნაწილი, უკრაინელების ნაწილი, ბელორუსების ნაწილი.

ისლამის მიმდევრები ძირითადად აზიაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი არაბულ ქვეყნებში. ბევრი მუსლიმი ცხოვრობს აფრიკაში. ევროპაში ისლამის მიმდევრები არიან თურქები, ალბანელები, ბოსნიელები და ბულგარელთა უმნიშვნელო ნაწილი.

იუდაიზმის მიმდევრები ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ. ამ რელიგიის მიმდევრები მხოლოდ ებრაელები არიან. ისტორიაში ერთადერთი სხვა ეთნოსი, რომელიც იუდაიზმს აღიარებდა თურქულენოვანი ხაზარები იყვნენ.

სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაცია. სამეურნეო-კულტურულ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა ეთნოგენეზისის, მათი ეთნიკური ისტორიის, მეურნეობის ფორმების, მატერიალური და სულიერი კულტურის პრობლემების შესწავლის საქმეში, რომელიც ხალხთა შორის კულტურული და ისტორიული ურთიერთობის ეთნიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. ასეთი ტიპოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სამეურნეო-

კულტურული ტიპების გამოყოფა, რომელშიც იგულისხმება მეურნეობისა და კულტურების თავისებურებების გარკვეული კომპლექსები, რომლებიც სოციალ-ეკონომიკური განვითარებით ახლოს მდგომ და მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში მოხინაძრე სხვადასხვა ხალხებში ისტორიულად ყალიბდება. ამ ნიშნებით მსგავსი ხალხები კლასიფიცირებულია სამეურნეო-კულტურულ ტიპში. მათ შორის სხვაობა მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეეხება, კერძოდ, რეწვას, სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, აგრეთვე შრომის იარაღებს, საკვებს, საცხოვრებელს, ტრანსპორტს, ტანსაცმელსა და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებს. სულიერი კულტურის სფეროში სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის განსხვავება ძირითადად ელინდება წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებში, გამოყენებითი ხელოვნების, რწმენა-წარმოდგენების, კულტებისა და ფოლკლორის იმ თავისებურებებში, რომლებიც უფრო ნათლად ასახავენ შრომისა და ყოფის ფორმებს ამა თუ იმ ლანდშაფტურ-კლიმატურ პირობებში.

ეთნოსების სამეურნეო-კულტურული ტიპების მიხედვით კლასიფიკაცია მხოლოდ ტრადიციულ კულტურას ეხება. ყველა სამეურნეო-კულტურული ტიპი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაგვით, რომლებიც ერთმანეთისაგან შრომის უფრო მეტად მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, მონადირეობა, შემგროვებლობა და ნაწილობრივ მეთევზეობა; მეორე ჯგუფში შედის თოხნითი (ხელის) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა; მესამე ჯგუფში შედის გუთნური (სახენელი) მიწათმოქმედება გამწვევი ძალის გამოყენებით. ეს უკანასკნელი ძვ. წ. III-I ათასწლეულებში აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდი მდინარეების ძველ სამიწათმოქმედო კერებში წარმოიქმნა. ეს დიდი ნახტომი იყო კაცობრიობის ისტორიაში. მიწათმოქმედებისა და მოძრავი მესაქონლეობის განვითარებით ადამიანთა საზოგადოებაში გაჩნდა მნიშვნელოვანი ქონებრივი უთანასწორობა, რამაც საბოლოოდ სოციალური დიფერენციაცია და სახელმწიფოების წარმოქმნა განაპირობა. ამ დროს გამოეყო მიწათმოქმედებას ხელოსნობა. სამეურნეო-კულტურული ტიპის მესამე სახეობა ძალზედ მრავალგვარია, რასაც კლიმატი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა — ერთ შემთხვევაში წამყვანი თუ სარწყავი მიწათმოქმედება იყო, მეორე შემთხვევაში — მომთაბარე მესაქონლეობა. მაგალითად, კავკასიის მთიელებში მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო და მიწათმოქმედება დამხმარე როლს ასრულებდა, ხოლო კავკასიის ბარში (სამხრეთ კავკასია) — სარწყავი მიწათმოქმედება იყო წარმმართველი მესაქონლეობის შეთანაწყობით.


საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ თანამედროვე ხალხებში შეიძლება სამეურნეო-კულტურული ტიპის სამივე ჯგუფი შეგახედეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში ეს ტიპები თუ კვლავ წამყვანნი არიან, მეორე შემთხვევაში მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობს.

ეთნიკური საზღვრები, როგორც წესი, არ ემთხვევა სამეურნეო-კულტურული ტიპის საზღვრებს. ზოგჯერ ასეთი საზღვრები დიდ ეთნოსებს ნაწილობად ჰყოფს, პატარებს კი აერთიანებს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ სლავებისა და ინდოევროპული მოდგმის ხალხების ტრადიციული კულტურ-

რა უპირატესად დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, ხოლო თურქული წარმომავლობის ეთნოსთა უმეტესობისა და მონღოლურენოვანი ხალხებისა — მესაქონლეობასთან. ძალიან ხშირად სამეურნეო-კულტურული ტიპის საზღვრები ბუნებრივ-ლანდშაფტურ ოლქებს ემთხვევა. მაგალითად, ტუნდრის ზონის თითქმის ყველა ხალხისათვის არსებითად დამახასიათებელია ტრადიციული მეირმეობა, ხოლო დიდი მდინარეების ტაიგის ზონაში მეთევზეობა იყო გავრცელებული.

სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციის გვერდით არსებობს ხალხთა კლასიფიკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების მიხედვითაც. მას ისტორიულ-კულტურულ კლასიფიკაციასაც უწოდებენ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებში გაერთიანებულია ხალხები, რომელთაც სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთობა, ხანგრძლივი კავშირები და ურთიერთგავლენა ახასიათებთ. ეს ერთობა ყველაზე ნათლად მატერიალურ კულტურაში ვლინდება, მაგრამ ის მეურნეობასა და ყოფასთან დაკავშირებულ სულიერ კულტურაშიც მჟღავნდება. მეცნიერები სხვადასხვა დონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქებს გამოყოფენ, ე. ი. ყოველ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში რამდენიმე ოლქი შედის. ამასთანავე საზღვრები ისტორიულ-ეთნოლოგიურ ოლქებს შორის გარდამავალი ზონების გამო ხშირად პირობითია. ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, მსოფლიოში 16 ისტორიულ-კულტურული პროვინციაა გამოყოფილი: დასავლეთ-ცენტრალურევროპული, აღმოსავლეთევროპული, კავკასიური (იყოფა ორ ქვეოლქად — ჩრდილო და სამხრეთკავკასიურად), შუააზიურ-ყაზახური, ციმბირული, ცენტრალურაზიური, აღმოსავლეთაზიური, სამხრეთ-აღმოსავლურაზიური, სამხრეთაზიური, სამხრეთ-დასავლურაზიური (წინააზიური), ჩრდილოაფრიკული (შედგება სამი ქვეოლქისაგან — ეგვიპტური, მაღრიბული, სუდანური), ტროპიკულაფრიკული, ჩრდილოამერიკული, ლათინურამერიკული, ავსტრალიური, ოკეანური. ჩვეულებრივ, ხალხთა ჯგუფების აღწერისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების სტრუქტურას გამოიყენებენ: „ვოლგისპირეთის ხალხები“, „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები“, „ჩრდილოეთის ხალხები“, „ციმბირის ხალხები“. ამ უკანასკნელში შედარებით პატარა ოლქებიც გამოიყოფა: იამაილო-ტაიმირული, დასავლეთ-ციმბირული, აღმოსავლეთ-ციმბირული, კამჩატკურ-ჩუკოტკური, ამურულ-სახალინური.

4. საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა: მემკვიდრეობის განსაზღვრელი ფაქტორები



საქართველო ტურისტული იმიჯის ქვეყანაა. როგორც ცნობილია გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (**ჭ თ**) მიერ გამოიყოფა ხუთი მსხვილი ტურისტული რეგიონი. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, ევროპაში შედის ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის 20 ქვეყანა და მათ რიცხვში-საქართველო, როგორც მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ქვეყანა. საქართველო გეოპოლიტიკურად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორი სრულიად განსხვავებული ცივილიზაციის - ტრადიციული აღმოსავლეთისა და მოდერნიზებული დასავლეთის პარადიგმათა შორის იმყოფება. საგულისხმოა, რომ საქართველო განვითარების ყველა ეტაპზე იძლეოდა კულტურათა დიალოგის საუკეთესო მაგალითს. თუმცა, როგორც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობიდან ჩანს, საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა დასავლეთის სამყაროს ნაწილს. გერონტი ქიქოძის თქმით, რუკაზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ დასავლეთ საქარველოს პონტოსა და შავი ზღვისაკენ აქვს პირი და ბიზანტიას უცქერს. როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა მეტად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით წერდა, რომ „ახისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანული და მამამადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. ამ ორი დიადი მიმართულებით გააოხიერებულს ქართულს ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებული იზრდებოდა და იფურჩქნებოდა საქართველოს „კულტურა“.

საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თავისებურება განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ქართველთა ეთნიკური წარმომავლობა, მრავალრიცხოვან ეთნიკურ გარემოსთან სიახლოვე, ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, ცივილიზაციათა ურთიერთგაცვლის ხანგრძლივი პროცესები დანარჩენ მსოფლიოსთან და ა.შ.

წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ცოდნის საფუძველზე გაცილებით ადვილია საქართველოს ადგილის გააზრება მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციათა შორის, რითაც შეგვიძლია დავინახოთ და შევაფასოთ ის, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნია კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. მთავარი კი, რაღა თქმა უნდა, არის ის, რომ ჩვენი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა უკეთ წარმოვაჩინოთ დღევანდელი მსოფლიოს წინაშე.

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესებასთან ერთად პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. ამ ტენდენციის პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს საერთაშორისო

ორგანიზაციის - იუნესკოს შექმნა და მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა ფართო ხასიეტმა, რომლის წევრ ქვეყანასაც 1992 წლიდან საქართველო წარმოადგენს (იხ. დამატებითი ინფორმაცია №1-2). ყოველივე ამის საფუძველზე საზოგადოების მიდგომა ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობისადმი, როგორც ყოველი ხალხის „ეროვნული მესხიერებისადმი“, ამ სიმდიდრის ათვისებისა და მისი სათუთად გამოყენების საქმეში სულ უფრო ფართო ხასიათს იძენს. ამ მიმართებით განსაკუთრებულია ტურიზმის როლის ზრდა და განმტკიცება, რომელიც იმავდროულად ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი განვითარების ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს.

საქართველო ისტორიულ-კულტურულად არის ის ადგილი, სადაც ბუნება და კულტურული გარემო ერთმანეთთან განუყოფელ ერთიანობაში არიან და სწორედ მათი ერთიანი კომპლექსი ქმნის ჩვენს მემკვიდრეობას. საქართველოს ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპს ყოველთვის ასულდგმულებად შესატყვისი ისტორიულ-კულტურული მისია, რომელიც დღემდე განსაზღვრავს თანამედროვე ქართული ეროვნული კულტურის განვითარების მიმართულებებს.

ჩვენმა ისტორიულ-კულტურულმა მემკვიდრეობამ თავისი განვითარების მანძილზე მიუხედავად მტრული თუ არასასურველი გარემოცვისა, შეინარჩუნა თავისი ორიგინალური სახე და მსოფლიო კულტურა გაამდიდრა თრიალეთის თასითა და უკვდავი სვეტიცხოველით, შეიტანა მასში მოარული იდეა ოქროს საწმისისა, შესძლო ამ საგანძურში დამკვიდრებინა რუსთაველის, იოანე ზოსიმეს, გ. მერჩულეს, ოპიზრებისა და მთაწმინდელების, აბუსერისძის, ილიასა და აკაკის და სხვათა სახელები, მსოფლიო მემკვიდრეობისათვის შეემატებინა ქართული პოლიფონიური მუსიკის ჟღერადობა, ცეცხლოვანი ქორეოგრაფია თუ ბევრი სხვა რამ. ყოველივე ამის ნიადაგზე ქართულმა კულტურამ და ქართული სახელმწიფოებრიობის მონაპოვრებმა ანტიკურ პერიოდშივე მიანიჭეს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას ცივილიზებული კვალიფიკაცია.

ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ევოლუციის ხანგრძლივი პროცესის უტყუარობას მისი კულტურული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტები - ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლები წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უმდიდრესი არქეოლოგიური მატერიალური კულტურები ქმნიდნენ მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურას, კოლხურ კულტურასა და სხვა. ამ მასალებით, ისე როგორც სათანადო წერილობითი წყაროების მიხედვით, თვალსაჩინოა ჩვენი წინაპრების სხვა ხალხებთან და შესაბამისად სხვა ცივილიზაციებთან ურთიერთობები, რომლებმაც ისტორიულ ჟამთაგულაში შეძლეს ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება და ცივილიზაციის საკუთარ ნიადაგზე განვითარება.

ამდენად, სრული საფუძველი გვაქვს გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ ბერძნულ-ელინისტური ცივილიზაციის გაფურჩქვნისა და ელინური კულტურულ-ისტორიული წრის ფართო დიფუზიის ხანას საქართველო შეხვდა არა „ბარბაროსული“ მდაბიურობით, არამედ მაღალგანვითარებული და თვითმყოფადი კულტურით, რაც მშვენიერად ილუსტრირდება თუნდაც

ძველი კოლხეთისა და ელადის მჭიდრო, შეიძლება ითქვას ტოლუფლებიანი ურთიერთობის ფაქტით. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისში ისტორიული საქართველოს სამხრეთ - დასავლეთ რეგიონში არსებობდა ქართველურ ტომთა ორი დიდი ადრეკლასობრივი სახელმწიფო - დიაოხი (დაიაენი) და კოლხა (გვიანდელი კოლხეთი). ძვ. წ. VIII ს-ში კოლხეთს ბოლო მოუღეს კიმერიელებმა, მაგრამ მისი სიძლიერე ღირსეულად იქნა გაგრძელებული ახალი კოლხური სამეფოსა (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) მიერ. როგორც ძველი ასურული და ურარტურული წარწერების ანალიზი, ისე აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები თვალნათლივ მოწმობს ერთის მხრივ, ადგილობრივი ხელოვნებისა და ხელოსნობის უმაღლეს პროფესიულ დონესა და თავისებურებას, მეორე მხრივ კი მჭიდრო კავშირს ელინისტურ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთთან. როგორც ცნობილია, საქართველო სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაში წარმოადგენს უძველეს კერას, რომელშიც მოსინიკებისა და ხალიბების როლი ერთხმადაა აღიარებული როგორც ქართველ, ისე უცხოელ წამყვან მეცნიერთა მიერ, რომლებიც უძველესი მეტალურგიის პრობლემებს იკვლევდნენ. სწორედ ქართული მრავალდარგოვანი ხელოსნობის ტრადიციულობამ თავისი დახვეწილობით, კონსტრუქციული თავისებურებებითა და ფუნქციონალური თვალსაზრისით არა მარტო ქართულ-კავკასიური, არამედ თავისი გაგრცელების უფრო ფართო მასშტაბებით შეიძინა დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ქართველური ტომების კულტურული აღმავლობა შემდგომშიც გაგრძელდა. ქართველი ერის კულტურული საგანძურის ჭეშმარიტი მშვენიერებაა ქართული ენა. ენა ეროვნული კულტურის უმთავრესი ფენომენია და მართლაც საოცარია ის, რომ ძველი ცივილიზაციის ბევრი ერი აღარ ლაპარაკობს თავის ენაზე - რომელიც ადრეულ ეპოქაში ჰქონდა. ქართული საეკლესიო ენა და დამწერლობა საეროსაგან მკვეთრად არ გამოიჯნულა. მრავალი მინარევის მიუხედავად, ქართული ლექსიკური ფონდიც ძირითადად უცვლელი დარჩა. ამდაგვარი მოსაზრების საფუძველი ქართული ენის მდგრადობის შესახებ, შესაძლებელია სწორედ ქართული საეკლესიო და საერო ენისა და დამწერლობის სიახლოვით, მათი მკვეთრი გაუმიჯნაობის ტრადიციით ყოფილიყო განპირობებული.

მსოფლიოში აღრიცხულ 14 ანბანს შორის ქართული ანბანი სპეციალისტების მიერ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილად არის მიჩნეული. მის შექმნის თარიღს ერთნი ვარაუდობენ ძვ.წ. VII-III სს-ის მანძილზე, სხვები ძვ.წ. Vს - დან ახ.წ. IV ს-შიც. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია კი ქართული მწიგნობრობის შემქმნელად ქართლის (იბერიის) მეფე ფარნავაზს (ძვ. წ. IV-III სს.) წარმოაჩენს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ კოლხური კირბები შესაძლოა არქაული ქართველური წერილობითი ტრადიციის არსებობასაც ადასტურებდნენ.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები V საუკუნეს განეკუთვნება. საქართველოში წიგნის გამოცემის საქმეს ხანგრძლივი ისტორია აქვს. წიგნის დასტამბვას წინ უსწრებდა ხელნაწერი

წიგნები, რომლის პირველი მიკვლეული ტყავ-ფურცელი ანუ პალიმფსესტი VI საუკუნით თარიღდება. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი წიგნი-სინური მრავალთაყი გადაწერილია IX საუკუნეში, კერძოდ, 864 წელს. ხოლო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ 1629 წელს გამოიცა რომში, რომელიც შეადგინა სტეფანე პალინინი ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) დახმარებით. ამავე წელს დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოიცა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. მოგვიანებით, 1709 წელს ვახტანგ VI -ის თაოსნობით, საქართველოში, კერძოდ, თბილისში გამოიცა თავისი დროისათვის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული პირველი ნაბეჭდი წიგნი „სახარება“, „სამოციქულო“, „კონდაკი“, „ლოცვანი“ და „უამნი“, ხოლო 1712 წელს კი შოთა რუსთაველის უკუდავი პოემა „ეფუხისტყაოსანი“.

ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წყაროს ქართული ფილოსოფიური აზროვნების მაღალგანვითარებულობა წარმოადგენს. საქართველოში ფილოსოფიის ჩასახვა III საუკუნეში მოხდა. ამ დროს კოლხეთში მოქმედებდა რიტორიკული და ფილოსოფიური განათლების კოლხეთის უმაღლესი სკოლა, იგივე ფაზისის უმაღლესი აკადემია, სადაც განათლებას ღებულობდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე აღმოსავლეთ რომის იმპერიის წარმომადგენლები. ამ რიტორიკულ-ფილოსოფიურმა სკოლამ, რომელსაც IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი თემისტოისი „მუხების ტაძარს“ უწოდებს, სავარაუდოდ იარსება მანამ, სანამ ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ 529 წლის ედიქტით ანტიკური ფილოსოფიის სკოლები არ დახურა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების უმაღლესი საფეხური კანონზომიერად დამთხვა საქართველოს ძლიერების ხანას. ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი და მიიჩნევდა, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწვერლობას დაეწაფა. ქართულ კულტურულ კერებში და მისი ტერიტორიის გარეთ ძლიერდება ინტერესი ფილოსოფიური აზრისადმი, წარმოებს ინტენსიური მთარგმნელობითი და კომენტატორული მუშაობა.

საქართველო მოექცა ქრისტიანული კულტურის ორბიტაში. მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელი იყო საქართველოსათვის, თუმცა ქრისტიანული კულტურით ქართული მემკვიდრეობის გამდიდრების პროცესი ცალსახად არ წარმართულა, რაც მომდინარეობდა ამ რელიგიის ჭეშმარიტებიდან. ქართული კულტურის განვითარების საქმეში ივ. ჯავახიშვილი ანიჭებდა რა ელინისტური ცივილიზაციის ფაქტორს დიდ მნიშვნელობას, დასძენდა, რომ მან თავის მხრივ არანაკლებად მოახდინა თვით ბიზანტიური კულტურის გამდიდრებაც: „... არაერთი ის საკითხი, რომელსაც ელინიზმი დასტრიალებდა, საქართველოსათვის საგულისხმო და გასაგები იყო. და ამით აიხსნება, რომ ქართველმა მეცნიერებმა (ექვთიმე ათონელმა, იოანე პეტრიწმა და სხვებმა) არა ერთი ძვირფასი ნაწარმოებები შესძინეს ბიზანტიურ მწვერლობას“.

საქართველოს ძლიერების ოქროს ხანაში აღორძინდნენ კულტურის ძველი ცენტრები, აღმოცენდნენ ახლები, გამოჩნდა მთელი პლყადა საზოგადო მოღვაწე მეცნიერებისა, მხატვრებისა, მწვერლებისა და პოეტებისა, რომლებმაც

ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ფეოდალური საქართველოს კულტურა. ეს იყო საქართველოს გამორჩეული ისტორიულ-კულტურული ეპოქა, რომლის ძლიერებას საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში უცხო სახელმწიფოებიც კი უწევდნენ ანგარიშს. მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოსული თამარის ეპოქის საქართველოს დროშა „დავითიანი“ კი არ იყო მხოლოდ, არამედ „ალექსანდრიანი“ - „ავგუსტიანიც“. ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტუს კეისარის მემკვიდრეობის მითვისებით ქართველები არა მარტო თურქთა მიერ მიტაცებულ მახლობელ აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნების განთავისუფლებას იჩემებდნენ, არამედ დასავლეთის კულტურული საგანძურის დაცვა-გავრცელების მისიასაც თავს იდებდნენ. ამან კიდევ უფრო გააფართოვა კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან.

ცნობილი და სახელგანთქმული იყო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები როგორც შინ, ისე გარეთ. ამ ეპოქის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება ღირსეულად გააგრძელეს გელათისა და იყალთოს აკადემიებმა. გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. როგორც ცნობილია, გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე კონსტანტინოპოლის და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის მათ უადრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოგვაწეობა გაიშალა. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს. დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ წერდა, რომ იგი არის „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად და, ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“.

VII-XII სს-ში ქართველები დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს ქმნიდნენ უცხოეთშიც (პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში). ამასთან, საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ საქართველოს ფარგლებში და მის საზღვრებს გარეთ აგებული ეკლესია-მონასტრები სწავლა-განათლების და ეროვნული იდეოლოგიის უმთავრეს ცენტრებს და ოფიციალური ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობის ობიექტებს წარმოადგენდა. ქართველი მეფეები თავად იყვნენ გამოჩენილი სწავლულნი და მწერლები. სწორედ მათი დიდი ძალისხმევით საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება არ ჩამკვდარა ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი. ამ პერიოდში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად უნდა ჩაითვალოს: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, შავი მთა (ანტიოქიის მახლობლად, სირიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონის მონასტერი (დღევანდელ ბულგარეთში).

ქართული კულტურის სახელგანთქმული ცენტრი ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულია X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი

ქართველი მოღვაწეების იოანე და ექვთიმე ათონელების მიერ. ამ სკოლის უდიდეს მნიშვნელობას სრულად ასახავს აკად. კორნელი კეკელიძისეული შეფასება, რომ აქ „თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძეგლები. იოანე და ექვთიმე ათონელებმა მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაცობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს.“

ზეპირსიტყვიერი ხელოვნება ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი მონაპოვარია. ძვ.წ. II ათასწლეულში ქართველთა წინაპრებს უკვე ჰქონდათ გამოკვეთილი ზეპირსიტყვიერი ხელოვნება დიფერენცირებული ლირიკული, ეპიკური და დრამატული გვარებით. ნარატიული (თხრობითი) ფოლკლორი მითებით, ზღაპრებით და თქმულებებით იყო წარმოდგენილი, ხოლო ლირიკული ლექს-სიმღერები სამეურნეო და რიტუალურ საქმიანობას ეძღვნებოდა. ქართული ზეპირსიტყვიერების ჩვენამდე მოღვაწეული ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ეპიკური ძეგლია „ამირანიანი“, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დროის მითოლოგიურ და რელიგიურ პლასტებს. თქმულების მთავარი გმირი – ადამიანთათვის ცეცხლის მომტანი და ღმერთის მიერ კაეკასიონზე მიჯაჭვული ამირანი შესაძლებელია, ბერძნული პრომეთეს ორეული და ბერძნული მითის სავარაუდო წყაროც იყოს.

საგულისხმოა, რომ დამწერლობამდელი ფოლკლორი ადაპტირებული სახით არის შესული ძველ ქართულ ძეგლებში. ამის ნიმუშია ლეონტი მროველის ისტორიული თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელიც შეიცავს ხალხური თქმულებების ფრაგმენტებს. მასში გადმოცემულია ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი ათასწლეულის ამბები, კერძოდ, „ფარნავაზის სიზმარი“ და, ასევე, ისტორიული ლექსები.

ქართველი ხალხის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი თქმულებებმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შესახებ. მსოფლიო მითოლოგიის ოქროს ფონდში შესულ არგონავტების თქმულებაში ყველაზე მკაფიოდ არის ასახული ეგეოსის ზღვის აუზის ძველთაძველ მკვიდრთა კულტურული ურთიერთობა ქართველურ ტომთა დასავლურ გაერთიანებასთან – აია - კოლხეთთან. არგონავტების მითში რელიეფურად არის ასახული სპეციალურ ლიტერატურაში „კოლხური კულტურის“ სახელით ცნობილი ბრინჯაოს კულტურის რეალური წარსული, ასევე, კოლხეთის ოდინდელი სიძლიერე და სიდიადე. აშკარაა, რომ ბერძენთა წარმოდგენაში კოლხეთი წარმოადგენდა ოქროს, მედიცინისა და მხედრული ძლიერების ქვეყანას. არგონავტების ეპოქიდან მოყოლებული

საქართველოდან ინტერესი დღემდე არ განელეზულა. ამის დასტურია მეცნიერ-მოგზაურთა - ე.წ. „არგონავტების“ 1983 და 2009 წლების ექსპედიციები, რაც თავის მხრივ საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი უდიდესი ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენს.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს უამრავი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის არსებობა. ქართულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაში არქიტექტურასა და სახეით ხელოვნებას დიდი ადგილი უკავია. ისინი ჩვენი ისტორიული წარსულის ერთგვარ მატინანსაც კი წარმოადგენენ. კად. ვ. ბერიძის თქმით, საქართველოს მიწა-წყალზე ნამდვილად „არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი - ან ძველი ეკლესია ან სამრეკლო, ან ციხის ნანგრევი, ან სადარაჯო კოშკი, ან ნახახლარი. ვახუშტი კი სამცხე-საათაბაგოს აღწერისას საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ აქ „... არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ვგრეთვე ყოველთა ადგილთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღესწერენით“.

საქართველოში ათასობით ხუროთმოძღვრების ძეგლი არის დაფიქრებული. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ არაერთგზის მიაღწია მხატვრული შემოქმედების მწვერვალებს. ქართული არქიტექტურა შუა საუკუნეებში დასავლეთისა და წინა აღმოსავლეთის სხვა ხალხთა არქიტექტურასთან მუდმივი კავშირის მიუხედავად არ წყვეტდა კავშირს ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროებთან. სწორედ ამიტომ ამჟღავნებს იგი დამოუკიდებელ სახეს და მხატვრულ სიმწიფეს. თავისი აყვავების ეპოქებში ქართული ხუროთმოძღვრება მოწინავე იდეების მატარებელი იყო. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიო ხელოვნების საგანძურში. ჯვარი, სვეტიცხოველი, ვარძია, ვანის ქვაბები, უფლისციხე, დავით გარეჯა, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა, სვანური კოშკური კულტურა, მრავალგვარი ხალხური საცხოვრებლები. ქართული ხუროთმოძღვრული სკოლის უაღრესად მაღალი დონე და გამორჩეულ ღირსებათა დასტურია იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ქართული ხუროთმოძღვრების ობიექტების შეყვანა. ესენია: ბაგრატიის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი (ქალაქი ქუთაისი და მისი შემოგარენი) (1994); მცხეთას ისტორიული ძეგლები (1994); ზემო სვანეთი (1996).

ქართულ ლიტერატურას 1500 წლის ისტორია აქვს და იგი უღაოდ წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და უმდიდრეს ეროვნულ ლიტერატურას. წარმართული იდეოლოგიის გამომხატველი ლიტერატურული ძეგლების მასობრივი განადგურების მიზეზით, ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოტანილი პირველი ძეგლი V საუკუნით თარიღდება და ეს არის იოაკობ ცურტაველის აგიოგრაფიული ჟანრის თხზულება „წამება...“ შუა სს-ში ქართველებს გარდა აღმოსავლეთის არცერთ ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია, მათ ხალხური სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. ბიბლიის, ამ უბრწყინვალესი წიგნის თარგმანი ჩვენს მშობლიურ ენაზე, ჩვენი დიდი მთარგმნელებისა და თეოლოგების მეშვეობით ჯერ კიდევ VII-VIII სს-ში

გაგეანდა. საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში ქართული სასულიერო მწერლობა ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთიან იდეოლოგიურ ერთეულად ჩამოყალიბდა. პარალელურად ვითარდებოდა აგრეთვე საერო - მხატვრული ქართული მწერლობა.

ქართულმა კულტურამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში. ამ თვალსაზრისის მეტად საყურადღებო, იდეალური გამოხატულებაა ქართველი ხალხის ძვირფასი მემკვიდრეობა - შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა "ვეფხისტყაოსანი". საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში შოთა რუსთაველი იქცა მსოფლადქმისა და მოქალაქეობრივი კეთილშობილების საკაცობრიო მნიშვნელობის მოაზროვნედ და ადრიდელი რენესანსის ეპოქის ნათელ სიმბოლოდ. მისი უკვდავი პოემა "ვეფხისტყაოსანი" ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის სრულყოფილი გამოხატულებაა, რომელმაც განუზომელი როლი ითამაშა ქართველი ერის სიკეთისა და სინათლისაკენ სწრაფვის მრავალსაუკუნოვან პროცესში. კონსტანტინე ბაღმონტის შეფასებით როგორც ჰომეროსია - ელადა, დანტე - იტალია, შექსპირი ინგლისი, . . . ასევე რუსთაველია საქართველო. შემთხვევითი არაა, რომ ქართველ ქალებს მზითვეში უსათუოდ „ვეფხისტყაოსანსაც ატანდნენ.

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველომ იგრძნო თავისი კულტურულ-ისტორიული მისია. იგი ტონს აძლევდა საერთო კავკასიურ კულტურულ ცხოვრებასაც. ამ პერიოდში საქართველომ საკუთარი გავლენის სფეროში მოაქცია თითქმის მთელი კავკასია. მან საბოლოოდ ირწმუნა საქართველოს პეგემონობით ახალი რეგიონალური გაერთიანების, კავკასიის შექმნის იდეის პერსპექტიულობა, რაც თავისთავად ქვეყნის მიერ თავისი მიხიის გაცნობიერებას მოასწავებდა. მართალია საქართველოს არ დასცაღდა თავისი ამ განზრახვის მატერიალიზაცია, მაგრამ კავკასიური სახლის აშენების სერიოზულმა მცდელობამ სამუდამოდ დაამკვიდრა შეხედულება საქართველოზე, როგორც სრულიად კავკასიის ლიდერზე.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიშნებით ხასიათდებოდა ეკლესიები, რომლებიც ქართული სტილით და ქართული წარწერებით შენდებოდა თითქმის მთელს კავკასიაში: სომხეთში, არსდებოდა კარის, დვინის, ვალაშკერტის, ანისის საეპისკოპოსოები, საფუძველი ეყრებოდა საკათალიკოსოს დაღესტანში ან ოსეთ-აღანებში (თხაბაერდი), რომელსაც ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება აშენებდა.

განსაკუთრებით დიდი სიცხოველე, წინსვლა დაეტყო ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას, მხატვრულ ლიტერატურას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას, ხუროთმოძღვრებას, ფერწერას, ჭედურ ხელოვნებას, მუსიკასა და ხელოვნების სხვა დარგებს. XI-XIII საუკუნეებში ქართველმა ხალხმა მდიდარ შინაარსიანი ისტორიოგრაფია შექმნა, რომელიც დაწინაურებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაფერისი იყო.

აღმავლობა შეიმჩნეოდა ქართულ საისტორიო მწერლობაში. ძველ ქართველ მემკვიდრეთა თხზულებებისაგან საუკუნეთა განმავლობაში დიდის გულმოდგინებით აღგენდნენ კრებულს, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ კრებულებში გაერთიანებულია XI-XV სს-ის ქართველ ავტორთა სხვადასხვა მოცულობის ნაშრომები. „ქართლის

ცხოვრება" ქართველი ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო წიგნი იყო, რომლითაც საქართველოს თავგადასავალი შეისწავლებოდა. საქართველოს ისტორიის ერთიანი წიგნის შექმნა წარმოადგენდა ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნებისა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეული ეტაპის აღმავლობას ადასტურებდა.

ქართულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას საოცრად ამდიდრებს ქართული სახვითი ხელოვნება (ოქრომჭედლობა, ხელნაწერთა მორთულობა, მინიატურული და ფრესკული მხატვრობა, მინანქრული, ტიხროვანი მინანქრის შესანიშნავი ნიმუშები, მათ შორის შუა საუკუნეების უდიდესი მინანქარ-ხახულის ღვთისმშობლის სახე და ჭედური ხელოვნება, მონუმენტური ფერწერა. დეკორატიული სკულპტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები და სხვ.). ე. ი. ჩანს დამოუკიდებელი სახე და მხატვრული სიმწიფე კედლის მხატვრობის, და მინიატურებისა და ოქრომჭანდაკელობის.

ქართული მუსიკალური შემოქმედების სათავეები 3 ათასი წლის წინაა საძიებელი, ხოლო სამუსიკო საკრავი - სამთვლიანი სალაშური, რომელიც არქეოლოგების მიერ არის ნაპოვნი, ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. ქართული სიმღერის უნიკალურობას მისი მრავალფეროვანი, 1, 2, 3 და 4 - ხმიანობა განსაზღვრავს. ამასთან, ქართული მუსიკალური ფოლკლორი მრავალ დიალექტს მოიცავს, რომელთაგან თითოეული გამოირჩევა თავისთავადობით და იშვიათი სინატივით. ქართული სასულიერო მუსიკა მეშიდე საუკუნიდან სრულიად დამოუკიდებლად ვითარდება ეროვნულ ნიადაგზე, რომლის თვითმყოფადობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა XI საუკუნის ქართულ საეკლესიო გალობათა ხასიათში.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი თვალსაჩინო სფერო თავისი უმდიდრესი ტრადიციებით არის ქართული ხალხური ქორეოგრაფია. მიჩნეულია, რომ მისი განვითარების პროცესში არის აღმოცენებული თეატრალიზებული ქართული ცეკვა. არქეოლოგიური და ლიტერატურული ძეგლების საფუძველზე გარკვეულია, რომ ქართული ქორეოგრაფიის წინამორბედი ყოფილა სამონადირეო რიტუალური ფერხული. იგი თავისი სიძველითა და მრავალფეროვნებით, უაღრესად ღრმა შინაარსითა და საოცრად ლაზათიანი ფორმებით, განსაცვიფრებელი პოეტური დინამიზმით, მართლაც საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის მიმართ მთელს მსოფლიოში დიდი ინტერესითა და სიყვარულით არიან გამსჭვალულნი.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის უდაოდ საინტერესო სფეროს თეატრი წარმოადგენს. ქართულმა თეატრმა მრავალგზის მოუტანა სახელი და დიდება საქართველოს. სხვა ხალხების მსგავსად, ხალხური თეატრის წინაპირობას ჩვენში შეადგენდა უძველესი რიტუალური დღესასწაულები, რომლებიც ძირითადად ნაყოფიერების ღვთაებებისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული ხელოვნების ელემენტებს შეიცავდა. ჩვენამდე მოღწეული ხალხური თეატრის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს „ბერეკაობა“//„ყვენობა“.

საქართველოში განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს ქალის მიმართ. შეიძლება ითქვას რომ ეს სარის დედის კულტი - პატივისცემის გამოხატვის ერთგვარი ტრადიცია.

ამრიგად, საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მეტად

მრავალფეროვანი და ორიგინალურია. მასში ძნელად რომ აღმოვაჩინოთ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტი, რომელიც უცხოა ქართული კულტურისათვის. ფაქტიურად იგი განვითარების ყველა ეტაპზე თავისებურად იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყანასთან და ეს იძლეოდა არა მარტო მისი შეუნელებელი განვითარების სტიმულს, არამედ, უწინარესად, ქმნიდა მათთან კავშირებისა და დაახლოების საუკეთესო საშუალებას. ამიტომაცაა იგი ძალიან ხალხური და მისაწევ-
დომი.

II. ტურისტული ბიზნესის ძირითადი რესურსები:

ისტორიულ - კულტურული რესურსი

1. ისტორიულ - კულტურული რესურსის თავისებურება;

ბანვითარების პერსპექტივები

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ იგი ერთ-ერთ ძირითად რესურსს წარმოადგენს ტურისტული ბიზნესის განვითარების საქმეში. სწორედ ამ სფეროში, ანუ, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების პროცესში ხდება მისი რეალიზება და ისტორიულ-კულტურული რესურსის სახით ფუნქციონირება, რომელიც თავისებურად წარმოაჩენს ტურისტული ბიზნესის ხასიათს და განსაზღვრავს მის ეფექტურობას. ტურისტულ ბიზნესში ისტორიულ-კულტურული რესურსი არის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური რესურსი, რადგან თითოეული მისი ელემენტი ატარებს ისტორიული ფაქტების, მოვლენების, მასთან დაკავშირებული სუბიექტების ან მათი ზემოქმედების კვალს და წარმოადგენს ისტორიული და ესთეტიკური ინფორმაციის ნამდვილი ცოდნის წყაროს. სწორედ ამან განაპირობა კულტურული ანუ შემეცნებითი ტურიზმის ცალკე, დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა, რომელსაც საფუძვლად დაედო ქვეყნის ისტორიულ-კულტურული პოტენციალი თავისი ერთიანი სოციო-კულტურული გარემოს ტრადიციებითა და ჩვეულებებით, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოღვაწეობის მთელი რიგი თავისებურებებით.

კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანი არის უმთავრესი ფიგურა და ისტორიულ-კულტურულ რესურსებთან მიმართებაში იგი მოიაზრება თავის კულტურულ პრობლემატიკასთან ცალკეულ კულტურულ ფენომენთან-მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან, ფილოსოფიასთან, რელიგიასთან და ტექნიკასთან ერთად. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და რესურსების ამდაგვარი ურთიერთმიმართების სანიმუშოდ საქართველოში მრავალი ტურისტული ობიექტის დასახელება შეიძლება, რომლებმაც გაუძღეს დროის გამოცდას და უდიდეს სულიერ განცდასა და ესთეტიკურ სიამოვნებას აღძრავს თითოეულ დამთვალიერებელში.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ სხალთისწყლის ხეობას, რომლის ისტორიულ-კულტურული რესურსები ტურიზმის სფეროში თითქმის ყველა მიმართულებით არის მნიშვნელოვანი - იქნება ეს მატერიალური თუ სულიერი. მისი კულტურა ნამდვილად არის ამ ისტორიული ხეობის მიმართ მზარდი ტურისტული დაინტერესის უმთავრესი საფუძველი/ელემენტი. საუკუნეების მანძილზე პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოდის პირობებში აჭარის ამ ხეობას ნამდვილად აკლდა მნახველი და დამთვალიერებელი. უკანასკნელ წლებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II ღოცვა-კურთხევით სხალთისწყლის ხეობა ახლად შექმნილი ეპარქიის შემადგენლობაში შევიდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი სპირიდონი. დიდი ხნის შემდეგ ახშიანდა სხალთის ზარები და დაიწყო კუთხის სულიერი აღორძინება. სხალთისწყლის ხეობის

პოპულარიზაციის საქმეს დიდად წაადგა უკანასკნელი პერიოდის ისტორიულ-კულტურული ძიებანიც, რომლებიც ამ ულამაზესი ხეობის შემდგომი გამოკვლევებით კიდევ უფრო გაამდიდრებენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს.

აჭარის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილია არაერთი სანახაობით დაწესებულებითა და ნაკრძალებით, ასევე 56 ისტორიული ძეგლით (2005 წლის მონაცემებით). როგორც ჩვენში, ისე მის ფარგლებს გარეთ, საუკუნეების მანძილზე შექმნილი კულტურა რეალურ საფუძველს უქმნის აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტსა და რეგიონალურ განყოფილებას ტურისტული ბიზნესის ინტერესების წარმატებით განხორციელების საქმეში. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ მიმართებით სხალთისწყლის ხეობა უზრუნველყოფილია აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორით, როგორსაც მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები წარმოადგენს. ამგვარი ბუნების ფონზე შერწყმული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ საჭიროა ვრცელი ინფორმაცია და პიარის განვითარება. ეს პრობლემა ნაწილობრივ დაძლეულ იქნა ბუკლეტების („ტბელობა“ და „სხალთა“) გამოცემით, თუმცა უნდა დაჩქარდეს გზამკვლევის გამოცემა, სპეციალური რუკის მომზადება, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ძირითადი მარშრუტები. ამ საქმის წარმატებას დიდად შეუწყობს ხელს ხეობის შესახებ უკვე არსებული ისტორიულ - არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ხასიათის გამოკვლევები და კარგად მოფიქრებული აუდიო და ვიდეო დისკების მომზადება. მთავარი, რა თქმა უნდა, არის საზოგადოების დაინტერესება, რაც კიდევ უფრო წაადგება სხალთისწყლის ხეობის კულტურულ - ისტორიული ფასეულობების მოძიებისა და დაცვა - შენახვის საქმეს.



ა) ზოგადი ცნობები. სხალთისწყლის ხეობა აჭარის ერთ-ერთი უღამაზესი ხეობათაგანია. ხეობა ისტორიული და კულტურული ტურიზმის მრავალსახეობას მოიცავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხულოს რაიონის ამ საინტერესო ხეობის ყველა კუთხეში იგრძნობა ტრადიციული სოფლის სითბო და სურნელი. სხალთისწყლის ხეობის სანახაობრივ მხარეზე, მის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, 1873 წლის ისტორიული და არქეოლოგიური მოგზაურობის საფუძველზე თავდაპირველი შთაბეჭდილება მკითხველთა ფართო წრეს გაუზიარა პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ თავისი გახმაურებული წიგნით „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ამას მოჰყვა გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძისა და სხვათა მოგზაურობები და სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი შრომები, რაც იმავდროულად წარმოადგენდა ეროვნული ტურიზმის განვითარების ერთგვარ წინაპირობასაც. ასე მაგალითად, ზ. ჭიჭინაძის მისიონერული მოგზაურობა თამამად შეიძლება მივიჩნიოდ საგანმანათლებლო ტურიზმის პირველსახედ საქართველოში.

ხეობა წინაპართა უძველესი ძეგლების კონცენტრაციით გამოირჩევა და თავისი ბუნებითა და ისტორიული ძეგლებით ნამდვილ კულტურულ ოაზისს წარმოადგენს. სხალთისწყლის ხეობა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, კერძოდ, ზემო აჭარაში მდებარეობს და წარმოადგენს აჭარისწყლის ერთ-ერთ მძლავრ შენაკადს. ხეობის ნაწილი მოქცეულია დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რომელიც ბათუმ-ხულოს გზის მონაკვეთის მარჯვნივ მდებარეობს. არცთუ შორეულ წარსულში აჭარისწყლის ხეობის პარალელურად, აქედან გადიოდა ახალციხიდან ბათუმისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა. ადგილობრივი მოსახლეობა ხეობას ხიხანის/ხირხათის სახელწოდებით მოიხსენიებს. ხეობის საგალი გზის სიგრძე დაახლოებით 40 კმ-ია, სხალთისწყლისა კი 29 კმ-ს წარმოადგენს, რომლის ცალკეულ შენაკადთან შუახევისა და ხულოს რაიონების რამდენიმე დიდი თუ მცირე სოფელია განფენილი: ჭერი, სხალთა, ფაჩხა, კვატია, ძმაგულა, ოჩანახვეი, ფუშრუკაული, ჩანჩურიხვეი, სკვანა, კალოთა, წაბლანა, ხიხაძირი, თხილვანა, ბაკო, ვერნები და ა.შ. (იხ. რუკა).

ხეობის კლიმატი საკმაოდ ზომიერია, რადგან იგი სამივე მხრიდან მაღალი მთებით არის ჩაკეტილი. აქ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულში 41-ია, ზამთარი კი ზომიერად ცივი და ტენიანია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზამთარში 2.3, ზაფხულში კი 19.3 აღწევს. სხალთისწყლის ხეობა მრავალფეროვანია მცენარეული საფარით. აქ გვხვდება მუხა, ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, სხვადასხვა ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ყურძენი, შინდი, ასევე ველური ხილი: წაბლი, წიწიბო, მოცვი და სხვა კენკროვანი. ტყეში მრავლადაა სოკოც. ხეობის ფაუნას შეადგენს თხუნელისებრი, ზღარბისებრი და ღამურისებრი ოჯახების წარმომადგენლები, ასევე მგელი, მელა, ტურა, შველი, ფოცხვერი, ტყის

კატა, ქვეწარმავლები (მათი უმრავლესობა არ არის შხამიანი). ფრინველები შემდეგი სახეობითაა წარმოდგენილი: მწყერი, ოფოფი, ტყის ქათამი, გუგუნი, კოდალა, მტრედი და სხვ.

ხეობაში მონიპოვება საშენი ქვები, თიხა, ხე-ტყე, ასევე ქიმიური ელემენტები, რომლებისგანაც მიიღება ალუმინი. ხეობის სიმიდრეს წარმოადგენს ცივი და ანკარა წყაროები, ასევე ძვირფასი ჯიშის თევზებით მდიდარი ტბები.

სხალთისწყლის ხეობის საგალი გზის სიმბოლური დასაწყისია შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდი, ანუ „დედოფლის ხიდი“. აქედან სხალთამდე მიმავალ გზას „დედოფლის გზას“ ეძახიან. აქვეა „დედოფლის წყარო“ და ეს ყველაფერი ქართველთა სახელოვანი მეფის – წმიდა თამარის სახელთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გზის მე-12 კმ-ზე მდებარეობს ხეობის სიამაყე - სხალთის ტაძარი. იგი მთელი აჭარის დიდი სულიერების სიმბოლოა და როგორც „კულტურათა ომის“ მემკვიდრე საუკუნეების შემდეგ ახმანებული ზარებით კვლავ იხმოვს თავის შვილებს. ყოველივე ეს მოსახლეობაში კიდევ უფრო ამაფრებს სხალთის ეკლესიის ნახვის სურვილს.

სწორედ აქედან იწყება ამ კუთხის უდაოდ მაღალგანვითარებული კულტურის მაჩვენებელი ისტორიულ-კულტურული ძეგლების მთელი წყება: კალოთა, ვერნები, ხიხაძირ-თიკანაური და სხვა, რომელიც ხიხანის ნაგებობათა ვრცელი კომპლექსით სრულდება (2635 მ. ზღვის დონიდან). ამ ძეგლებით ჩანს მუდმივი კავშირი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებულ ცივილიზაციებთან, რაც უფრო საინტერესოსა და მრავალწახნაგოვანს ხდის ადგილობრივ კულტურას. ხუროთმოძღვრული შემოქმედების ამდგავარ სინთეზს გ. ქიქოძისეული ხედვით, განაპირობებდა, აგრეთვე, საქართველოს ბუნების მრავალფერადობაც, რომელიც ნაყოფიერ ინდივიდუალიზმს ასაზრდოებდა, რის შედეგადაც თითოეული კუთხე განსაკუთრებულ სულიერ ბეჭედს ატარებდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სხალთისწყლის ხეობა ტურიზმის განვითარებისათვის ფლობს დიდ ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს. ლანდშაფტის მრავალფეროვნება და ზომიერი კლიმატი განაპირობებს ტურიზმის არაერთი სახის განვითარების შესაძლებლობას. საკვლევ რეგიონში შემონახული საკულტო ძეგლები ეპოქის შესატყვისი რელიგიური დატვირთვითა და ორიგინალური სტრუქტურით დღემდე ადასტურებენ ქართული ხუროთმოძღვრული სკოლის გამორჩეულ ღირსებებს.

ბ) ისტორიული ძეგლები:

ქვისა და ბრინჯაოს ხანა

კულტურული ტურიზმის ერთ-ერთი საინტერესო და საქართველოს პერსპექტიული მიმართულება არის არქეოლოგიური ანუ, არქეოლოგიური ტურიზმი. ტურისტთა დაინტერესება უძველესი ისტორიით უწინარესად ხეობაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე არის შესაძლებელი. სამარხებში დაცული ყოფისა და კულტურის საგნები კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. რეგიონში გამოვლენილი წარმართული საკულტო ძეგლების არსებობას ერთგვარად ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ ის ადგილი, რომელშიც მოთხრობილია ანდრია პირველწოდებულის დიდაჭარაში შემოსვლის პერიოდში არსებული

მდგომარეობა: „აქ ეაცინა... არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადცა უჯერო არს“. ასეთივე მდგომარეობას შესწრია ანდრია პირველწოდებული სამცხის საზღვართანაც და „...უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა.“

სხალთისწყლის ხეობაში ინტერესი საკულტო ძეგლების შესწავლისადმი შედარებით გვიან წარმოიშვა. პირველი სიძველეთმცოდნეობითი ხასიათის ცნობები საქართველოს ცალკეული ისტორიული კუთხის და მათ რიცხვში ხულოს რაიონის საკულტო ძეგლების შესახებ, გვხვდება არაერთ ავტორთან. ეს საქმიანობა გაგრძელდა 1973 წლიდან ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

სხალთისწყლის ხეობაში საკულტო ძეგლების ისტორია უძველესი პერიოდებიდან იწყება. ყოველი ძეგლი თავისებურად უჩვეულო და თავისთავადია, რაც, შესაძლოა, მხოლოდ წარმართულ ღვთაებათა თაყვანისცემის ადგილის ორგანიზაციისთვის იყოს დამახასიათებელი. ამ პერიოდის საკულტო ძეგლების არქეოლოგიურ კვლევას ხეობაში სათავე დაუდო 1988 წლის გათხრებმა სოფელ კალოთაში. როგორც ქვის, ისე ბრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლებით ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ აჭარის ზღვისპირა და ჭოროხის აუზის უძველეს მოსახლეობებთან, ხოლო ძვ. წ. II-I ათასწლეულებისათვის ეს ადგილები ჩანს ერთიანი ეკონომიკურ - კულტურული კერა, რომელსაც ფართო კონტაქტები ჰქონდა მეზობელ რეგიონებთან.

ხეობის პრეისტორია ნეოლითური ხანის მასალებითაც არის მდიდარი, რომლებიც ხიხაძირის ერთ-ერთი უბნის თიქანაურთავის ტერიტორიაზე არის ნაპოვნი. ეს მასალებია: მიკროლითური ხასიათის, კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები, ღამელები და საფხეკები. რამდენიმე ადგილას დადასტურდა კაჟის გამოსავლები. საინტერესოა ასევე ნეოლითური ეპოქის დასასრულისა და ენეოლითის დასაწყისის ფუშრუკაულის ქვის იარაღები, რომლებიც თავდაპირველად ხელსაფეკავი თუ სასრესი უნდა ყოფილიყო.

ქვის ხანის სხალთის ხეობის ფართო განსახლების მაჩვენებელია აგრეთვე სოფელ წაბლანაში ნაპოვნი ანატკეცები, ღამელები და საფხეკები, რომლებიც ობსიდიანისაგან არის ნაკეთები.

ხეობაში მრავლადაა სოფლები და ადგილები, რომლებშიც სტადიალურად არის ასახული საკულტო ძეგლების სახელწოდებები: ნაყოფიერებისა და ამინდის მაგიური მართვის რწმენა-რიტუალთან დაკავშირებული ქვაკაცები კალოთაში, ფილაქნით მოპირკეთებული და ქვებით ამოვსებული დოლმენის მსგავსი ოთხკუთხედი ორმო სოფელ ბაკოში, ჩამოტეხილი ქვების სამარხები ქოჩახში და ხირხათთან ახლომდებარე ტყეში, მენძირები თხილვანაში, ნასაყდრევი, ნაქილისარი ფურტიოსა და ოლადაურში და სხვა სოფლებში. კალოთის აღმოჩენებით კი სათავე დაედო მეგალითური კულტურის ძეგლების კვლევას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. სოფელ კალოთაში ეკლესიასთან ახლომდებარე კონუსისებრი მოყვანილობის ბორცვთან, რომელსაც მოსახლეობა სერს უწოდებს, აღმოჩნდა წარმართული ხანის (ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედი) საკურთხეველ-სამსხვერპლოს კომპლექსი. ასე ცალკე გამოყოფილი საკულტო ძეგლი იშვიათობას წარმოადგენს. კომპლექსში წარმოდგა

ნილი იყო, აგრეთვე, ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ტრაპეზი და ცხოველთა მსხვერპლ შეწირვისათვის განკუთვნილი მოედანი ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე. არქეოლოგიური და ფოლკლორულ-ეთნოლოგიური მონაცემების მიხედვით, კალოთის საკურთხეველ-სამსხვერპლო ძველ ქართულ დღესასწაულს ლაზარობას დაუკავშირდა.

საკვლევ რეგიონში მრავლად შემორჩენილი მსგავსი ქვაკაცები მნახველში დიდ ინტერესს იწვევს. მათ შესახებ არსებული ცნობები ხშირ შემთხვევაში საქართველოს სხვა კუთხეების გადმოცემების ანალოგიურია. ძველ საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წინარექრისტიანული ტაძრები გარკვეულ მძლავრ მოთხოვნათა მიხედვით შემუშავებული ორგანიზმებია.

ბრინჯაოს ხანა. ინტერესი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისადმი განსაკუთრებულია. აჭარისწყლის ხეობაში სწორედ სხალთისწყლის ხეობის სოფელ კალოთაში აღმოჩნდა პირველად ბრინჯაოს ნივთები. აღნიშნული ბრინჯაოს განძი დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, რომელშიც შედის: წალდი, ბრინჯაოს ზოდები და ტიპიური კოლხური ცულები.

რკინის ხანა. სხალთისწყლის ხეობა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული კუთხე, წარმოადგენდა რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების უძველეს კერას, რომელშიც მოსინიკებისა და ხალიბების როლი ერთხმადაა აღიარებული როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთ მიერ. ძვ.წ. VIII-VII სს-ის მასალებით ჩანს, რომ რკინა უკვე ფართოდაა ათვისებული, თუმცა მასიურია სარიტუალო-საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ცულები. მათში კარგად ჩანს ცულების გრაფიკული დეკორით შემკობის ტრადიციები.

სხალთისწყლის ხეობის მასალების მნიშვნელობა მეტად დიდია, რითაც კიდევ უფრო გაფართოვდა უძველესი ქართული კულტურის - კოლხური კულტურის არეალის სამხრეთი საზღვრები. ეს ადგილები რკინის ფართო ათვისების ხანაში გამოყენებული ყოფილა სამაროვნად.

საყურადღებოა ხეობის კერამიკული წარმოების ტრადიციებიც. მეცნიერთა აზრით, კოლხური კულტურის ამ მეტად საინტერესო რაიონს შეიძლება დაუკავშირდეს სოფელ ხიხაძირის ახლოს (ახალშენი-ძაღლიმერე) შემთხვევით აღმოჩენილი მეტად არქაული ყურმილიანი ღოჭი, რომელიც ამ ჭურჭლის დამოუკიდებელ ტიპს ქმნის.

ხეობაში მოძიებულია არაერთი საყურადღებო სამარხი, რომელთა უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მათში დაცული ყოფისა და კულტურის საგნებით შესაძლებელი ხდება კულტურული მემკვიდრეობის უფრო სრულყოფილი შესწავლა. გარდა ამისა, სულიერი კულტურის მემკვიდრეობა შესაძლებელია ვნახოთ ეთნოლინგვისტურ მასალებში, რომლებშიც დაკრისტლებულია აჭარელთა ყოფა-ცხოვრების მთელი რიგი ეთნოგრაფიული ეტიუდები. ამ მიმართებით ძალზედ საინტერესოა თქმულებები, რომლებიც არცთუ მწირად შემოინახა მოსახლეობის მეხსიერებამ ცალკეულ საკულტო ნაგებობათა შესახებ (სხალთა, ვერნები და ა.შ.).

შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლები. საკულტო ძეგლების განვითარების შემდგომი ეტაპი აჭარაში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. სხალთის ეპარქია ახალი სამღვდელმთაფროა საქართველოს სამოციქულო

ეკლესიაში, მაგრამ მას ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. მისი ტერიტორია, ჯერ კიდევ IV საუკუნის შუა ხანებში, მეფე მირდატ III დროს დაარსებულ თუხარისის საეპისკოპოში იყო გაერთიანებული. V საუკუნიდან იგი ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ ახიზის საეპისკოპოსოს ფარგლებში ჩანს. მომდევნო საუკუნეებში, ვიდრე XVI საუკუნის 60-იან წლებამდე, ანუ, ამ ტერიტორიების ოსმალთა მიერ დაპყრობამდე, ჯერ ანჩის, შემდეგ ტბეთის საეპისკოპოსოთა სამწყსოში შედიოდა. ქართული ისტორიული ტრადიციითა და ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით, სხალთის ეპარქიის ტერიტორიაზე, დიდაჭარაში მოულოცნია და დაუფუძნებია პირველი ეკლესია წმ. ანდრია პირველწოდებულს. აქაურები ზიარებიან პირველად ღვთიურ ჭეშმარიტებასა და მადლს.

სხალთისწყლის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილ-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან. ხეობაში ბევრია ადრეფეოდალური ხანის (VI-X სს) საეკლესიო თუ სხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთებიც, მაგრამ ისინი დღემდე ჯერჯერობით არაა შესწავლილი. ხეობის ეკლესიები არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი და ყველა მათგანი X-XIII საუკუნეებით თარიღდება.

საქართველოს ძლიერების ხანაში (XI-XV სს), ხეობაში გაჰყავთ გზები, შენდება თაღიანი ხიდები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, სარწყავი არხები. ერთიანი სახელმწიფოს ეპოქაში დაიწყო აჭარისწყლის ხეობისა და განსაკუთრებით მისი თვალსაჩინო ნაწილის სხალთა - ხიხანისწყლის ხეობის აღორძინება. მთავარ სამაგისტრო გზებზე აღიმართა ქვის თაღიანი ხიდები, ყველა სოფლის გამორჩეული ადგილები კი დამშვენებული ყოფილა მადალი გამოვლებით ნაშენი ხუროთმოძღვრული ძეგლებით, ეკლესია-მონასტრებით.

სხალთისწყლის ხეობაში შედარებით კარგად არის შესწავლილი საეკლესიო ნაგებობანი. ხეობის ეკლესიები:

თხილვანის ეკლესია. სხალთისწყლის ხეობაში არსებულ საკულტო ძეგლთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია თხილვანის სამეკლესიანი ბაზილიკა. იგი აგებულია XI საუკუნის ბოლოს იოანე მახარებლის სახელზე. ჩანს, რომ თხილვანის ეკლესია წარმოადგენდა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები მდებარეობს სხალთისწყლის ხეობის სათავეში. 1978-1979 წლების არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ ეკლესიის ნანგრევები მოქცეული იყო სოფლის ცენტრში ქვა-ღორღით დაფარული უზარმაზარი ხელოვნური ბორცვის ქვეშ. ციხე-ქალაქ ხიხანიდან 5 კმ-ის დაშორებით. ტაძრის ფასადი ორნამენტირებული ჩუქურთმით იყო შემკული. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მარანი. აქ შვიდი ქვეერი იყო ჩადგმული. ტაძრის სამხრეთითა და აღმოსავლეთით გაითხარა 35 სამარხი. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. ეკლესიის აგების ანუ XI საუკუნის შემდგომ სავარაუდოდ XIII ს. 20-იან წლებში უნდა მომხდარიყო მისი აღდგენა, რომლის აღმდგენელ-განმაახლებლად ტბელის და ვანენი მიიჩნევა. ამ ფაქტმა ასახვა პპოვა ტბელის თხზულებაში. როგორც ცნობილია XII საუკუნის 90-იან წლებში აქ განვითარდა რთული პოლიტიკური მოვლენები: მწერლის მამის - ერისთავთ-

ერსთავ ივანეს დაღუპვა "თურქთა ხელთა," მწერლის პაპის აბუსერისა და მისი ძმის სანანოს ვაჟაკობა" მტერთა ზედა გაცემული ხიხანის გამოხსნა-დაბრუნებაში და სხვა. არაა გამორიცხული ამ ამბების დროს დანგრეულ-დაზიანებულიყო თხილვანის ეკლესია და იგი აღედგინა ტბელის დას კანენს. თხილვანის ეკლესია წარმოადგენდა აბუსერისძეთა სახლის სამემკვიდრეო საკუთრებას. აქვეა მათი საძვალეც.

ვერნების ეკლესია. იგი თარიღდება XI ს-ის შუა ხანებით. ეკლესია მდებარეობს მდ. სხალთისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფლის ცენტრში შემადგენულ ბორცვზე, რომელსაც „მადიძირს“ ეძახიან. სოფელი ვერნები და მისი ეკლესია აბუსერისძეთა საგამგეოში შედიოდა და მათივე საგვარეულო თხილვანას ეკლესიიდან 12-ოდე კმ - ით არის დაშორებული. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურებიანი ცოკოლი და კედლის წყობის რამდენიმე რიგი. შედარებით უკეთ არის დაცული დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. ტაძარი დარბაზული ტიპისაა სამხრეთის მინაშენით, რომელიც საძვალედ იყო გამოყენებული. გარედან ეკლესია სწორკუთხედშია ჩაწერილი. 1898 წელს სოფ. ვერნებში აღმოჩნდა ბალაურის ქვა წარწერებით და ორნამენტებით.

ვერნების ეკლესიის ტერიტორიაზე მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ჯერ კიდევ 1977-1978 წლებში. გათხრების შედეგად გამოვლინდა კარ-სარკმელთა მორთულობისა და კარნიზის ფრაგმენტები: ქვის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, მცირე ზომის ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზედაც ღვთისმშობელია გამოსახული. ეკლესიის აღმოსავლეთსა და სამხრეთ ნაწილში გაითხარა 23 სამარხი, რომელთაგან 13 კოლექტიურია.

ხიხანის ეკლესია. მდებარეობს ზღვის დონიდან 2635 მეტრ სიმაღლეზე. ხიხანის ციხის ტერიტორიაზე. სხვა ნაგებობათა შორის შედარებით უკეთ ამოსაცნობია ეკლესიის ნაშთები. მეცნიერთა ვარაუდით ეკლესია აგებული უნდა იყოს XIII ს. 30-იანი წლებისათვის, უკიდურეს შემთხვევაში - 40-იანი წლებში.

თიკანაურის ეკლესია არის მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა. თარიღდება IX-X სს-ით. დგას მდინარე სხალთისწყლის სანაპიროზე, სოფ. ხიხაძირიდან 15კმ-ის დაშორებით, რომელსაც მოსახლეობა „ნასაყდრალს“ უწოდებს. ამჟამად ეკლესია საძირკველის დონემდეა დანგრეული. მხოლოდ აქა-იქ არის შემორჩენილი კედლის წყობის მცირე ფრაგმენტები. ეკლესია, აჭარისწყლის ხეობის სხვა ტაძრების მსგავსად, თლილი ქვის ღორფინების საბურველით იყო დაფარული. ტაძრის ეზოში გამოვლენილია ქრისტიანული სამარხები.

კალთის ეკლესია. იგი XI-XIII სს-ით თარიღდება. მდებარეობს მდ. სხალთისწყლის ხეობაში, ამავე სახელწოდების სოფლის ბოლოს, მაღალ ტერასაზე. შედარებით უკეთაა დაცული ტაძრის აღმოსავლეთი მხარე, საკურთხევლის აფსიდის კედელი და კონქის ნაწილი. XX ს. 40-50-იან წლებამდე უკეთ ყოფილა შემონახული მისი დანარჩენი ნაწილები, რომლებიც ახლა საძირკველის დონემდეა მორღვეული. ეკლესია დარბაზულია, სამხრეთით გასდევს მინაშენი, რომელიც საძვალედ იყო გამოყენებული.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ქვის ფილა ქართული ასომთავრული წარწერით. ეკლესიის კედლებს ფიგურული რელიეფებიც ამკობდა. შემკობილი რელიეფის ერთ-ერთი მათგანი ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში არის დაცული. ეკლესიის აღმოსავლეთით და სამხრეთით აღმოჩნდა ინდივიდუალური და კოლექტიური ქრისტიანული სამარხები და სამი საოჯახო ქვის სამარხი.

საგულისხმოა, რომ XIX ს. მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში დაცული ცნობების თანახმად, ხიხაძირის ცენტრში მდგარა დიდი ზომის ტაძარი, რომელიც ოსმალო დამპყრობლებს დაუნგრევიათ.

სხალთის ეკლესია. კომპლექსის მთავარი ნაგებობა XIII ს. შვერილაფსიდიანი ტაძარია, რომელიც დარბაზული არქიტექტურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. აქვეა ნანგრევების სახით შემორჩენილი მცირე დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც თარიღდება IX-XI საუკუნეებით. კომპლექსში შედის მარანი და ფრაგმენტულად დაცული ეზოს გალავანი.

სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი შედარებით ყველაზე სრულყოფილი სახით დაცული ძეგლია აჭარაში. იგი ხულოს რაიონში, მდინარე სხალთისწყალის ხეობაში, ქ. ბათუმიდან 100 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ნაგებობები მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. სხალთა ქართულ ტოპონიმიში ერთ-ერთ უძველეს მაწარმოებლად მიჩნეული - თა სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი. სხალთის ეკლესიის შესახებ არაერთი ხალხური გადმოცემა არსებობს, რომლებიც ეკლესიის აგებას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, სხალთის ეკლესიის ადგილას უზარმაზარი მსხლის ხე ყოფილა, რომელიც თავისი ტოტებით ფარავდა თურმე იქაურობას. ერთხელ თამარ მეფეს გაუვლია სხალთის ხეობაში და სწორედ ამ ხის ძირას მოუსურვებია ღამის გათევა. მეფეს ეს ხე უნახავს სიზმარში და აქ ეკლესიის აგება უბრძანებია. მაგრამ, რამდენჯერაც სცადეს მსხლის მოჭრა, მეორე დღეს ხე ისევ გამართლებული ხვდებოდათ. ბოლოს შეწუხებული ხალხი ვიდაცას დაურიგებია, რომ საღამოს ცულები ხეში ჩარტობილი დაეტოვებინათ. ასეც მოქცეულან და მსხლის ხე მოუჭრიათ. როდესაც ხალხი კითხულობდა, თუ სად აგებდნენ დიდ ეკლესიას, მათ ასე პასუხობდნენ: „-მსხალთან, დიდი მსხლის ხე რო სდგასო“. გადმოცემის მიხედვით ამ ადგილს სახელი „მსხალთან“, შემდგომ კი „სხალთა“ შერქმევია.

სხალთის საეკლესიო კომპლექსის მშენებლობაც და ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკებით შემკობაც აბუსერისძეთა სახელს უნდა უკავშირდებოდეს. აბუსერისძეები განსაკუთრებული სიქველთა და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ. სხალთის ეკლესიის მხატვრობაში სამყაროს აღსასრულის იდეის განსაკუთრებული გამოყოფა შესაძლოა, აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობითაც იყოს განპირობებული, რადგან ესქატოლოგიური შეხედულება ნათლად ვლინდება მის თხზულებაში „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებულთა განგებითა.“ ესაა სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მთავარი ნაგებობა - შვერილაფსიდიანი ტაძარი, რომელიც ღვთისმშობლის სახელს ატარებს. ტაძარი 1990 წლიდან მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა. აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილი დარბაზული ძეგლებისაგან განსხვავებით,

სხალთის ეკლესიის თავისებურებას შვერილი შეიდწახნაგოვანი აფსიდი და სამხრეთის ტაძლოვანი კარიბჭე წარმოადგენს. ამჟამად დასავლეთის მხარეზე არსებული კარიბჭისაგან არაფერია დარჩენილი. როგორც ჩანს, მცირე მინაშენი ეკლესიას ჩრდილოეთის მხარეზეც ჰქონია.

მკვლევართა აზრით, სხალთის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე ტაძრის აგების თარიღი XIII ს-ის პირველი მესამედისა და XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ივარაუდება. ტაძარი კარიბჭითურთ მთლიანად იყო მოხატული. დღეისათვის ფრესკები ძირითადად საკურთხეველში, კამარასა და დასავლეთ კედელზე შემორჩა. სხალთის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. ტაძრის მოხატულობის საერთო პროგრამა გამოირჩევა მდიდარი რეპერტუართა და სცენათა განვითარებული იკონოგრაფიით. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები სხალთის მოხატულობას XIV-XV საუკუნეების პალეოლოგოსთა სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებთან აკავშირებს. მასში წარმოდგენილია შემდეგი კომპოზიციები: ედრება, ჯვრის ამადლება, ღვთისმშობლის მიძინება, იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების სცენები, ასევე, დღე განკითხვისა და ა. შ. სხალთის არქიტექტურა თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებად არის მიჩნეული.

სხალთის მცირე ეკლესია. იგი მდებარეობს სხალთის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით. სხალთის მცირე ეკლესია კომპლექსის ყველაზე ადრეული ნაგებობაა და თარიღდება IX-XI საუკუნეებით. ეკლესია არის ერთნაოიანი, დარბაზული ტიპის ნაგებობა, რომლისგანაც ამჟამად დარჩენილია მხოლოდ საძირკველი, ერთსაფეხურიანი ბაზისი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი. დარბაზის სივრცე თითქმის კვადრატულია. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეკლესიას ერთი შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან, მაგრამ მოგვიანებით კარი ჩრდილოეთის მხარეზეც გაუჭრიათ. სალოცავს ეკვდერის დანიშნულებაც ჰქონდა: მისი ინტერიერი და სამხრეთის მინაშენი მაქსიმალურად იყო გამოყენებული სამარხებისათვის. საინტერესოა, რომ ქრისტიანულ საფლავებშიც მოწმდება წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი სამარხული ინვენტარის ჩაყოლების წესი. XI-XIII საუკუნეებით თარიღდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ინვენტარი: მოჭიქული თუ სადა თიხის ჯამები, სასმისები, რკინისა და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები და მონეტები.

სხალთის კომპლექსის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მცირე ეკლესიის მახლობლად, შუასაუკუნეებშივე გაჩნდა სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში მოქმედებდა. სამაროვნის სიდიდე და მრავალფეროვნება მოწმობს, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში სხალთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1981 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხთა ოთხი ძირითადი ტიპი გამოვლინდა: ორმოსამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები, ქვის სამარხები და აკლდამა. მოსახლეობის სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები ტაძარში, ხოლო გარეთ, აღმოსავლეთის კედელთან იყვნენ დაკრძალულნი.

ხიხანის ეკლესია მდებარეობს სხალთა-ხიხანისწყლის სათავეებში, არ-
ხიანის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე, ზღვის დონიდან 2635 მ-ის სიმაღლეზე.
იგი მდებარეობს ციხე-ქალაქის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთ-
ში. შედარებით უკეთესად იკითხება ეკლესიის ნაშთები. ეკლესია აგებული
უნდა იყოს XIII ს. 30-იანი წლებისათვის. უკიდურეს შემთხვევაში - 40-იანი
წლების დამდეგისათვის. ეკლესიაც ბევრგან თითქმის საძირკვლის დონემდეა
დარღვეული. ეს ეკლესია პატარა ზომისაა. იგი წარმოადგენს დარბაზუ-
ლი ტიპის ნაგებობას. უკეთაა შემონახული აღმოსავლეთის და სამხრეთის
კედლები (სისქე 0,55 მ; სიმაღლე 1,5-1,7 მ). ადრე აქ ხის ეკლესია ყოფილა.
ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით შემონახულია საინტერესო წერი-
ლობითი ძეგლები. ტბელ აბუსერისძეს ძმების ერისთავთ-ერისთავების აბუ-
სერისა და ვარდანის დაგალებით წმ. გიორგის ეკლესია აუგია. თხზულებ-
ის წერისას 1233 წელს მშენებლობა კერ კიდევ არაა დასრულებული. ჩანს,
რომ ეკლესიის მშენებლობა დიდ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული.
ტბელი ასახელებს რამდენიმე მიზეზს: ციხის მიუვალობას, ქვების მშენებლო-
ბის ადგილზე მიტანას და სხვ. ტექსტიდან ჩანს, რომ ბაკოელნი ყოფილან
ეკლესიის აშენების ინიციატორნი თუ მშენებელნიც.

ციხისყელ - ვარდციხის ეკლესია. ციხისყელ - ვარდციხე ერთ მთლიან
კომპლექსს წარმოადგენდა. მათი აგების თარიღად დაახლოებით XI-XIII
საუკუნეები ივარაუდება. კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღ-
მოჩნდა პატარა ზომის (3,5X3მ) ეკლესიის ნაშთები. აღმოჩენილი მასალების
მიხედვით ჩანს, რომ იგი შიგნიდან მოხატული ყოფილა. მოხატულობის ზო-
გიერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ნაშთები.

ხიხათას ციხე. ხეობის ციხე - სიმაგრეთა ნაწილი სამხრეთ - დასავლეთ
საქართველოს ერთიანი სასიმაგრო კომპლექსის ერთ-ერთ უწყვეტ და საიმე-
დო ჯაჭვს შეადგენდა. ყველაზე მაღლა, სხალთა-ხიხანისწყლის სათავეებში,
არსიანის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე, ზღვის დონიდან 2635 მ-ის სიმაღლეზე
მდებარეობს ხიხანის ციხე. ადგილობრივი მოსახლეობა ხიხანის ციხეს თამ-
არის ციხეს უწოდებს. ფიქრობენ, რომ იგი თამარის მეფობის პერიოდში
არის აგებული. ხიხანის ციხე თითქოსდა არწივივით გადაპყურებდა აჭარ-
ის მთიანეთს და დარაჯივით აკონტროლებდა სხვადასხვა მიმართულებით
დაქსელილ საქარავნო გზებს: ახალციხისკენ, შავშეთ-კლარჯეთისკენ და
ზღვისპირეთისაკენ. ხიხანის ციხის მთლიანი ფართობი ერთ პექტარამდეა,
სადაც ციხის გალავნის ხუთი კოშკიდან ჩვენამდე მხოლოდ ოთხმა მოაღწია.
ასევე შემორჩა მოზრდილი შენობა, რომლის 3,5 მ სიმაღლის აღმოსავლეთ
კედელში კარი არის დატანებული. საფიქრებელია, რომ საღვინე სახლი უნდა
იყოს ხიხანის ერთი ადგილი, რომლის სიგრძე 12 მეტრამდე აღწევს, ხოლო
სიგანე 4,5 მეტრამდე. მისი ჩრდილო კედელი მიწამდეა გასწორებული, ხოლო
სამხრეთი კედელი ერთ მეტრამდე სიმაღლითაა შემონახული.

საინტერესოა სოფელ ბაკოსთან გამოქვაბულის მსგავსი შენობის ნან-
გრევი, რომელიც გვირახს წააგავს. გადმოცემით იგი ხიხანის ციხესთ ნ უნდა
ყოფილიყო დაკავშირებული. მოსახლეობა მას ყვიახოს (ახალი ჭა) მაღაროს
ეძახის. გამოქვაბულის სიგრძე 12 მეტრია, სიმაღლე 1,5 მეტრი. ამ გვირახის
ისტორიასაც მოსახლეობა თამარ მეფეს უკავშირებს.

ციხისყელი. სხალთისწყლის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილ-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სამხრეთ-დასავლეთ საქართ-ველოს სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან. ამ სასიმაგრო სისტემაში მნიშ-ვნელოვანი ადგილი უკავია ციხისყელ - ვარდციხის კომპლექსს, რომელიც ერთმანეთისაგან 150-180 მეტრით დაშორებული ორი ნაგებობისაგან შედგება. ციხისყელის გათხრების შედეგად გამოვლინდა დაზიანებული ზღუდუკო-შეკები, პატარა ზომის საყდარი, საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი. ციხის ცალკეულ ნაწილთა განლაგების მიხედვით ჩანს, რომ იგი საბრძო-ლო-თავდაცვითი და ამავე დროს ყველაზე საიმედო თავშესაფარიც უნდა ყოფილიყო.

ვარდციხე. იგი წარმოადგენს ციხისყელის გაგრძელებას. ამ ტერიტორი-აზე არქეოლოგიური სამუშაოები არაა წარმოებული. იგი აშენებულია მაღალ ბორცვზე, დაშენებულია ფრიალო კედლის შეერილებზე და კონტროლს უწევს უშუალოდ სოფელ კალოთისაკენ მიმავალ გზას. ციხისყელ - ვარდციხე ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენდა. ორივე ნაგებობა თანადროული ჩანს და ისინი დაახლოებით XI - XIII სს-ებით უნდა დათარიღდეს. ვარდციხე სამხედრო დანიშნულებისა და გზების უშუალო კონტროლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

მუსლიმური სალოცაგები. XIX ს-ში მოსახლეობის მძლავრი წინააღმდე-გობის მიუხედავად აჭარაში გაგრძელება დაიწყო მუსლიმურმა სარწმუნოე-ბამ. ყოველივე ამას მოჰყვა ქრისტიანული საკულტო ძეგლების ნგრევა და მუსლიმური ნაგებობების (ჯამეების) ძირითადად ნაეკლესიარ ადგილებზე აგება. ამიტომაცაა, რომ ხშირად ჯამეების დეკორატიულ მორთულობებშიც თავს იჩენს ქრისტიანული ელემენტები (ვაზისა და მისი ნაყოფის სიმბოლიკა, სიცოცხლის ხე, ჯვარი და სხე). რაც ნათლად ჩნდება ეთნოგრაფიული მა-სალების მიხედვითაც. შემდგომში ამ ადგილებს ნაეკლესიარი, ნაქილისგარი, ნასაყდრალი//ნასაყდრი, ნამონასტრევი ან ნაქართლი ეწოდა. ეს გარემოება დამახასიათებელია არა მარტო აჭარისა და, კერძოდ, სხალთისწყლის ხეო-ბისათვის, არამედ ისტორიული ტაო-კლარჯეთის არაერთი ადგილისათვისაც. საგარაუდოთ, ზემო აჭარაში პირველი მეჩეთი და ამასთანავე მედრესე 1839 წელს უნდა ყოფილიყო აგებული.

ასე, რომ სხალთისწყლის ხეობის წარსული ისტორიის იდეოლოგიურ-პოლიტიკური დაპირისპირების მრავლისმეტყველი ფაქტები იმსაც მოწმობენ, თუ როგორ მოხდა „კულტურათა შორის ომში“ მათი გადაზრდა. ამ ნგრევას სასწაულად გადარჩენია სხალთის ტაძარი. ხეობაში შემორჩენილი გადმო-ცემების მიხედვით, ორ ხოჯას განუზრახავს ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება, მაგრამ მალე გაგიჟებულან და ტყეში გაჭრილან გარეული მხეცეებივით. ზოგ-საც ტაძარში საქონლის სადგომის მოწყობა განუზრახავს, მაგრამ მათაც მოუტეხიათ კისერი და საქონელიც გაწყვეტიათ. ყოველივე ამას მცხოვრე-ბლები წმიდა ადგილის წაბილწვითა და შეურაცხყოფით სსნიან.

აჭარაში რწმენა-წარმოდგენების გარკვეული ნაწილი საერთო ქართულ მოვლენას წარმოადგენს. ყოველივე ეს მკაფიოდ მოსჩანს საახალწლო და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებში, სხვადასხვა დღეობებში: „ქაშატობა“, „ლაზარი“-ობა, „დადგობა“, „გზობა“, „სამხითო“-ობა და ა.შ.

ეთნოტურიზმი. იგი ტურიზმის დამოუკიდებელ კატეგორიადაც კი არის მიჩნეული. ეთნოტურიზმში განსაკუთრებით კარგად იკვეთება ხეობის უძველესი კულტურული ტრადიციების უწყვეტობა. ხეობა იძლევა საუკეთესო შესაძლებლობებს არა მარტო სასოფლო ტურიზმის, არამედ, სამონადირეო, შოპტურიზმის, თაიმპერინგისა და სხვათა განვითარებისათვის. ხეობის ნამდვილ კლიმატს კი ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობის საუკეთესო ტრადიციები და ხალხური კულინარიის მრავალფეროვნებაც განაპირობებს. აქაურთათვის „სტუმარი ღვთისაა“ და სწორედ ამიტომ საცხოვრებლის დაგეგმარებაში აუცილებლად ითვალისწინებენ სასტუმრო ოთახის ცალკე გამოყოფას. მკვლევართა ვარაუდით ხეობის ეერთი მშვენიერი სოფლის - ბაკოს სახელწოდება გასათევი ადგილის, ანუ სასტუმრო სოფლის ფუნქციასთან უნდა უკავშირდებოდეს.

ხეობის წარსული ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების ცოცხალი მემკვიდრეობა თავად ხანდაზმული ადამიანები არიან. მოსახლეობის საოჯახო და საზოგადოებრივი ტრადიციები თვალწინ იშლება მათთან ხანმოკლე ურთიერთობების დროსაც, რისი საშუალება ხეობის ნებისმიერ სტუმარს ადვილად ეძლევა. ხეობის მკვიდრთა საუკუნეობრივი ტრადიციები უფროსებისადმი პატივისცემის, ქალისადმი, განსაკუთრებით კი დედისადმი თაყვანისცემის სასიამოვნო განცდის გამოხატვის საშუალებაა.

მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობათა რიგს შეადგენს: მიწათმოქმედება, მევენახეობა - მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, შინახელოსნური წარმოება-ქსოვა, ქარგვა, თიხის ჭურჭლის დამზადება და სხვ. ყოფაში დღემდე შემორჩენილი შრომითი ურთიერთდახმარების ცალკეული ფორმა.

საცხოვრებელი ნაგებობები ძირითადად ორსართულიანია, რომლებიც ქვისგან და თლილი ხეებისგან არის ნაშენი. მათი უძველესი ტიპები ხეობის იაღალეზე არსებული ჯარგეალური და ძელური სახლებია. მათ შორიახლოს დგას ტრადიციულ პრინციპებზე აგებული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი: ბოსელი, ნალია, ბეღელი, და სხვ. განსაკუთრებით თვალშისაცემია დიდი ქვის ღუმელები, რომლებიც დამოუკიდებლად, სახლთან ახლოს ეზოში, ან ქვის ღობეშივე არის ჩაშენებული. ტრადიციული სოფლის იერსახეს ერთგვარად ავსებს წყლის წისქვილები.

შუამთობა და საშემოდგომო პერიოდი ტრადიციული საქორწილო სანახაობისთვის შესანიშნავი პერიოდია. ეს დღესასწაული ერთნაირად იზიდავს დიდსა და პატარას, შინაურსაც და უცხო მნახველსაც. მისი არაერთი ელემენტი ახლობელ გარემოს უქმნის მნახველს, რაც ასევე თბილი და სასიამოვნო განწყობის აუცილებელი პირობათაგანია.

ტურისტული ბიზნესისათვის საინტერესოა შინახელოსნური წარმოების ნიმუშები: მრავალფეროვანი ორნამენტირებული ნაქსოვი და ნაქარგი ნივთები, ხის მრავალგვარი ჭურჭელი და სხვ., რომელსაც საშინაო ბაზარზეც საკმაოდ დიდი მოთხოვნა აქვს. ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე ჩანს ისტორიული ძეგლების, შრომისა და სხვა საყოფაცხოვრებო იარაღების დღემდე შემონახული ნიმუშებითაც: სახნავ - სათესი იარაღების, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სპილენძის, ხისა და თიხის მრავალფეროვანი ჭურჭლის მიხედვითაც. ხეობის მაღალგანვი-

თარბული ტრადიციული ხელოსნობის ნამდვილი სიმბოლოა აბუსერისძე ტბელის თხზულების მთავარი გმირი - გამოჩენილი ოსტატი ბოლოკობასიდი, რომელსაც შუარტყალში მარტოს აუგია ეკლესია.

ხეობაში დამოწმებულია შემდეგი ტრადიციული გართობა-თამაშობანი: ჭიდაობა, ცხენით ჯირითი ანუ „ლილე“, ქუმის ჭრა, ოჭივარა და სხვ. საყურადღებოა მოსახლეობაში დღემდე შემონახული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო ცოდნა-გამოცდილება. ძველ ქართულ კალენდარულ სახელწოდებათა სიძველე ცალკეული თვის სახელწოდებათა შემონახულობაშიც ვლინდება: ღვინობისთვე, ქრიშობისთვე მარიობისთვე და სხვა. სევე საინტერესოა დღემდე შემონახული ცოდნა ამინდის პროგნოზირებასთან დაკავშირებითაც.

საკმაო ყურადღებას იმსახურებს ტურისტული ინტერესების თვალსაზრისით ხალხური კულინარია. სპეცილურ ქვის ვებერთელა ღუმელებში გამომცხვარი თონის პური და ხაჭაპური ხეობის პროდუქტია. აქაურები კარგად ამზადებენ აგრეთვე ბაქლაყას, ბურმეს, სინორსა და სხვა კულინარიულ ნაწარმს.

ფოლკლორი. მოსახლეობაში კარგად არის დაცული ხალხური სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები, მუსიკალური ფოლკლორული ტრადიციები. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ოსტატთ მიერ ადგილზე დამზადებული ნაირგვარი მუსიკალური საკრავები: ჭიბონი, დავლი და ზურნა, ფანდური, საზანდარი და სხვ.

დღესასწაულები. კულტურის ცალკეული ელემენტი კიდევ უფრო აძლიერებს ტურისტთა დაინტერესებას. ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეულია ხემო აჭარაში გავრცელებული ტრადიციული დღესასწაული შუამთობა// მემხლიანობა. იგი ყოველწლიურად აგვისტოს პირველ კვირა დღეს მთაში იმართება. ხეობის კულტურულ ცხოვრებაში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ფართოდ დამკვიდრდა დღესასწაული „ტბელობა“. ასევე პოპულარული ხდება „სელიმობა“.

მუზეუმები. სხალთისწყლის ხეობის ახლო წარსულის ამსახველი მასალები დაცულია სოფელ სხალთას ხიმშიაშვილების სახლ-მუზეუმში და თხილვანის მხარეთმცოდნეობის (თუ ხიმშიაშილის სელიმის?) მუზეუმში.

პიროვნებები. არქეოლოგიური, წერილობითი და მდიდარი ფოლკლორული მასალები სხალთისწყლის ხეობას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში გამოჩენილი პიროვნებების სახელებთან დაკავშირებითაც: მეფე თამარი, აბუსერისძე ტბელი, სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები და სხვ.

აბუსერისძეები. X-XI საუკუნეებიდან სხალთა - ხიხანისწყლის ხეობის კულტურის აღმავლობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებისა და აჭარაში ერისთავთ-ერისთავების აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდს უკავშირდება. საქართველოს ერთიანობასა და ძლიერებას ემსახურებოდა აბუსერისძეთა მთელი ოჯახი. აბუსერისძეთა საგვარეულოს სახელოვანი წარმომადგენელი აბუსერისძე ტბელის ბაბუა იოანნე, თამარ მეფის სამეფო ლაშქრის მებრძოლი 1204 წელს ბასიანში გამართული ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა. 1225-1230 წლებში, ხვარაზმელთა შემოსევის დროს, ტბელ აბუსერისძის ძმებმა - აბუსერ და ვარდან ერისთავთ-ერისთავებმა ქართული მხედრობის ერთიანი სტრატეგია გაიზიარეს და ფორტიფიკაციუ-

ლი ნაგებობების გაშვება დაიწყო. ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენა და მშენებლობის ხელმძღვანელობა მათ ტბელს დაავალეს, რომელმაც საგვარეულო „მამულის“, კერძოდ, ხიხათას ძირში მდებარე სოფლის, ბაკოს მკვიდრთა თხოვნაც გაითვალისწინა და ეკლესიის გაფართოებასთან ერთად, ციხესიმაგრეში „მრავალი სახელოვანიც“ ააშენა. ფაქტობრივად, ტბელ აბუსერისძემ 1222-1233 წლებში ხიხანზე აღადგინა და გააფართოვა როგორც ეკლესია, ისე ციხესიმაგრე. ხიხათა ეკლესიის შემოკობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტბელის უფროსმა ძმამ, აბუსერ IV-მ, რომელმაც ტაძარს შესწირა ექვსი „დიდრუანი“ ხატი: 1) წმ. გრიგოლ პართეველისა; 2) წმ. დიმიტრისა; 3) წმ. გიორგისი; 4) წმ. იოანე ოქროპირისა; 5) საღმრთო პირისა და 6) ღმრთისმშობლისა ჩვილედი.

აბუსერისძემები განსაკუთრებული სიქველით და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ. ისინი ხიხათა ციხესიმაგრეს ფლობდნენ, რომელიც სხალთისწყლის ხეობის სათავეში, ზღვის დონიდან 2635 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ხეობაში აბუსერისძეთა მიერ არის აგებული ვერნების, ხიხანის და თხილვანის ეკლესიები, სხალთის საეკლესიო კომპლექსი. XIII ს-ის მოღვაწისა და მწერლის აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშია. ტბელ აბუსერისძის ორიგინალური შემოქმედება მოიცავს ხუთ თხზულებას. ესენია: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“, „გალობანი სამთა იოვანეთანი“, „გალობანი მწვალებელთა შეწუენებისანი“, „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი სარწმუნოებისათვის მართლისა“ და „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“. ამათგან საკულტო ნაგებობათა ისტორიისათვის განსაკუთრებული ადგილი უკავია თხზულებას - „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“, რომელიც შეეხება ხიხათა ციხესიმაგრესთან ახლოს, ფოცხოვში, დაბა შუარტყლის წმ გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას. დიდია თხზულების აღმზრდელიობითი და მორალური მნიშვნელობა.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ტბელ აბუსერისძე არის ერთადერთი ავტორი, რომელიც ჰიმნოგრაფიულ კანონს სამეცნიერო-პედაგოგიური მიზნებით იყენებდა. აბუსერისძე ტბელის სამეცნიერო-პედაგოგიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თხზულებას - „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“. იგი სასწაულო სახელმძღვანელოა, რომელსაც დართული აქვს ორი ცხრილი: „სრული ქრონიკონი“ (532 წლიანი ციკლი) და „ასურული კეკლოსი“. თხზულებას მათემატიკურ-კალენდარული შრომის კვალიფიკაცია მიესადაგება. მასში პასუხი გაეცა ბერძნულ და ქართულ მარხვათა თანხვედრის მიზეზს და ახსნილია მეცნიერულად. აღნიშნული ნაშრომი ქართული ასტრონომიული და მათემატიკური მეცნიერების სათავეებთან დგას. ამ თხზულებით ტბელ აბუსერისძემ თავისი წვლილი შეიტანა საბუნებისმეტყველო მეცნიერების, კერძოდ, ასტრონომიის განვითარების ისტორიაში. მან მსოფლიოში პირველმა აღნიშნა, რომ მთვარისთვის ხანგრძლივობა არ არის ზუსტად 29,5 დღის ტოლი, რამაც 1582 წელს რომის პაპი გრიგოლ XIII აიძულა, კალენდრის შესწორებას შესდგომოდა.

საეკლესიო მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აბუსერისძეთა ოჯახის სხვა წევრებმაც. XIII საუკუნის 20-იან წლებში ეკლესიას

დიდი საბოძვარი გადასცა ტბელ აბუსერისძის დამ - დიოფალ-დიოფალმა ვანენმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ცნობილ მთავარს ბოცო ბოცოს ძე ჯაყელს. სავარაუდოდ თხილვანის ეკლესია ვანენს უნდა აღედგინა. ამას გვაუწყებს ხეობაში ნაპოვნი წარწერიანი ქვა, რომელიც ამჟამად ბათუმში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება: „ქრისტე, წმიდაო იოვანე მახარებელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დიოფალ-დიოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა მას სასჯელისასა ნუ დასჯი ამინ“. წარწერაში მოხსენიებული აბუსერ II, მისი მეუღლე ვანენი და მათი ძე ზაქარია XI-XII საუკუნეების მოღვაწეები არიან და წარმოადგენენ „მატიანე ქართლისაიში“ მოხსენიებული გრიგოლ I-ის (აბუსერ I-ის ძის) შთამომავლებს. ეს პირები იხსენებიან ვერნების ეკლესიის წარწერაშიც: „ქრისტე ადიდენ ერისთავთ-ერისთავნი: გრიგოლ და აბუსერი და ბასილი და შვილნი მათნი - გრიგოლ, ზაქარია“.

თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია აბუსერისძეთა სახლის სამემკვიდრეო საკუთრება, მათი „სამკვიდრებელია“ და აქვეა მათი საძვალეც. სატბელ აბუსერისძის სამუდამო განსასვენებელი ხიხათა საერისთავო უნდა გამხდარიყო, კერძოდ, თხილვანის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია. სავარაუდოდ, ტბელ აბუსერისძე უნდა გარდაცვლილიყო 1250 წელს.

აბუსერისძეთა სახელოვანი ოჯახის წარმომადგენელია გრიგოლ აბუსერისძე, რომელიც მოღვაწეობდა XI ს. შუა ხანებში. არაა გამორიცხული ეს ის იყო, რომელმაც 1046 წელს ღრტილას საეკლესიო კრებაში მიიღო მონაწილეობა და მოხსენიებულია ასევე ათონის მონასტრის აღაპებში. ამ თარიღს მხარს უჭერს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები.

ხიხანის ციხე-ქალაქის მნახველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2003 წელს ხიხანს აღმოსავლეთის მხრიდან მისასვლელი ბილიკი გაუკეთდა. 1979 წლის 13 სექტემბერს „ტბელობა“ პირველად გაიმართა. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ტბელ აბუსერისძე წმიდანად შერაცხა. მისი ხსენება დაწესდა 30 ოქტომბერს. 2006 წლიდან ტბელობის დღესასწაული უკვე ტრადიციად გადაიქცა. სხალთის ეპისკოპოს სპირიდონის ღოცვა-კურთხევით უკვე მესამედ ტარდება ტბელ აბუსერისძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ყველა ამ ღონისძიებათა დამაგვირგვინებელ მოვლენად გადაიქცა 2009 წელს საქართველოს საპატრიარქოს სხალთის ეპარქიაში, დაბა ხიჭაურში, წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის გახსნა.

ხიმშიაშვილები. საქართველოს ისტორიაში ამ გვარის რამდენიმე მნიშვნელოვანი და გამორჩეული პიროვნების სახელი სხალთისწყლის ხეობასთან არის დაკავშირებული. სელიმ ხიმშიაშვილი - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, აჭარა-მესხეთისა და სხვათა გამგებელი, მხატვრულ ლიტერატურაში „ხიხანის არწივად“ წოდებული. მისი სახელი შორს იყო ცნობილი და მტრებს მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ ბაბა-ფაშა ფეჰლევიანი 15000 ჯარისკაცით ჩავიდა ახალციხის საფაშოში. მან გამოყო 6000 რჩეული

ჯარისკაცი და ალყა შემოარტყვა ხიხანის ციხეს, რომელსაც ახალციხიდან გაძევების შემდეგ ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამხედრებული სელიმ ხიმშიაშვილი ოჯახთან ერთად აფარებდა თავს. 1815 წელს ალყაში მოქცეული სელიმი ბრძოლებით ვერ გატყვეს და ვერაგობით იგდეს ხელთ. 1815 წლის 3 ივლისს სოფელ ბაკოში, სერეიყანაში, სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ მან ამაყად განაცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი (საქართველო) ოსმალთს სამუდამოდ არ შერჩება. მის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაუპოვებო“. ეს სიტყვები და სელიმის მოწამებრივი აღსასრული სამუდამოდ ჩაებუჭდა ხსოვნაში მის შვილებს და ლეგენდად შემორჩა სრულიად საქართველოს. მისი ტანი დაკრძალულია სხალთის ეპარქიაში, სოფელ ნიგაზულში, ხოლო თავი თურქეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II - ის ინიციატივით, უნდა მოხდეს სხეულის ნაწილების შეერთება და ცხედრის გადასვენება მთაწმინდაზე.

შერიფ ხიმშიაშვილი. სელიმ ხიმშიაშვილის ღირსეული შთამომავალი იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მეტად დიდია მისი დამსახურება აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნებისათვის ბრძოლაში. მან დიდი წვლილი შეიტანა აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნების საქმეში. სწორედ ამიტომ წამოუძღვა იგი რუსეთის არმიის ნაწილებს აჭარისწყლის ხეობაში, რითაც შესძლო კიდევ დიდი სისხლისღვრისაგან გადაერჩინა აჭარის მრავალტანჯული მოსახლეობა. დიდია მისი დამსახურება მუჰაჯირობის წინააღმდეგ ბრძოლაში და თუ აჭარა 1878 წლის ბერლინის კონგრესის შემდეგ მთლიანად არ დაცარიელდა, ამაში დიდი ღვაწლი შერიფ ხიმშიაშვილს მიუძღვის. ოველივე ამის შ მდეგ 1880 წელს შერიფ ხიმშიაშვილი დიდი პატივით მიუღია რუსეთის მაშინდელ იმპერატორს - ალექსანდრე II-ს. შერიფს იქვე მიუღია მართლმადიდებლობა და მოუნათლავს თავისი ვაჟებიც. შერიფის(ალექსანდრეს) ხელახალი ქორწინებაც შედგა და მისი მეორე ნახევარი დანიის პრინცესა გახდა. შერიფის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ყოფილა: იგი კარგად ხატავდა, თავისი ხელით ამზადებდა საბრძოლო იარაღებს და ზარბაზანიც კი ჩამოუსხამს.

სხალთისწყლის ხეობის ისტორიულ-კულტურული ძეგლებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ აჭარის ტურისტული მარშრუტის „ბათუმი - ხელვაჩაური - ქედა - შუახევი - ზამღეთი - სხალთა - ხიხაძირი - თხილვანა - ხიხანი“ სიაში. მარშრუტის საწყისი პუნქტია კურორტი ბათუმი, ხოლო საბოლოო-ხულოს რაიონის სოფელი ხიხაძირი. ამ მარშრუტის საერთო სიგრძე არის 180 კმ-ს, ხანგრძლივობა კი შეადგენს 2 დღეს. მოქმედების ვადაა აპრილ-ოქტომბერი. აღნიშნული მარშრუტის მონაკვეთი, რომელიც სხალთისწყლის ხეობას მოიცავს, სიგრძით დაახლოებით 42 კმ-ია. დამისთვეის ძირითადი ადგილია ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირი (კერძო სახლი). დასათვალიერებელი ობიექტებია სხალთისა და თხილვანის მუზეუმები; მატერიალური კულტურის ძეგლებს წარმოადგენს: ხიხანის ციხე, ვარდციხე, ციხისყელი; ქვის თაღოვანი ხილია სხალთისწყლის ხეობის დასაწყისში-ფურტიოს ქვის თაღოვანი ხიდი; საკულტო ძეგლებია; სხალთის ტაძარი, ვერნების ეკლესია, კალთის ეკლესია, თიკანაურის ეკლესია, თხილვანის ეკლესია, ციხისყელ-

ვარდციხის ეკლესია, ხიხანის ეკლესია.

ამრიგად, სხალთისწყლის ისტორიულ-კულტურული პოტენციალი საკმარის მდიდარი და მრავალფეროვანია, რომლის ისტორია შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. სხალთის ხეობის კულტურული საგანძური ეპოქის შესატყვისი რელიგიური დატვირთვითა და ორიგინალური სტრუქტურით დღემდე ადასტურებს ქართული კულტურის მაღალ და გამორჩეულ დირსებებს. ხეობაში არსებული არაერთი ძეგლი არის საერთაშორისო მნიშვნელობის. მათში ჩანს საკულტო ძეგლთა ხანგრძლივი განვითარების შედეგი, რომელშიც ნათლად აირეკლა ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა - წარმოდგენებში დაგროვილი რელიგიური ცოდნა და გამოცდილება, რაზეც განსაკუთრებული გავლენა იქონია რელიგიათა სინკრეტიზმმა, მათმა თანაარსებობამ და მონაცვლეობამ. გარდა ამისა, ხეობაში კარგი პირობებია იმათთვის, ვინც ქრისტიანული და ეთნიკური კულტურით არის დაინტერესებული.

სხალთისწყლის ხეობის ადგილობრივ მკვიდრთა მეხსიერებაში დღემდე ლეგენდად შემორჩენილი საქართველოს სახელოვანი მეფე თამარისა და ხეობაში მოღვაწე რამდენიმე ისტორიულ პიროვნებათა სახელები სავესებით საკმარისია სხალთისწყლის ხეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისა და დიდი ავტორიტეტისათვის. ყოველივე ამასთან ერთად, ხეობის ბუნებრივი პირობები მნახველს საუკეთესო გარემოს უქმნის აქაურ მადლთან და სიკეთესთან საზიარებლად.

სადღეისოდ გადაუდებელ ღონისძიებათა რიგს შეადგენს: კულტურული მემკვიდრეობის შენახვის მეთოდოლოგიისა და თეორიის, კომპლექსური ტერიტორიული პროგრამების შემუშავება, განსაკუთრებით დასაცავი ისტორიული ძეგლებისა და, აგრეთვე, ტერიტორიების სისტემათა ფორმირება, მემკვიდრეობის დაცვის სფეროთა კარტოგრაფიული უზრუნველყოფა, ცოცხალი ტრადიციული კულტურის შესწავლა, რაც ძალზედ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეში.

გამოუყენებელია ტურისტული ბიზნესის დიდი შესაძლებლობები, კეთილმოუწყობელია ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზები, ექსკურსიები ტარდება სტიქიურად, არაკვალიფიცირებული პირების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ მომსახურების სერთიფიკატი, ტურისტული მარშრუტები, საექსკურსიო ბილეთები და სხვა.

სავსებით ბუნებრივია, რომ სხალთისწყლის ხეობაში ტურიზმის მნიშვნელობის ზრდას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ამ მხარის შესახებ სასიამოვნო იმიჯის ფორმირების საქმეში.



თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებასთან ურთიერთობა არა მხოლოდ ადამიანთა დარწმუნების, არამედ მათზე ზემოქმედების ხელოვნებად არის მიჩნეული. საზოგადოებასთან ურთიერთობის (ლ) წარმოშობა კაცობრიობის ისტორიის სათავეში ძვეს. უძველეს პერიოდში ადამიანთა დარწმუნების უნარიანობა გამოხატულია არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშების მიხედვითაც. ასევე, დამწერლობაშიც არის ლაპარაკი ძველი პერიოდის მმართველთა განდიდებაზე, მათ ღვთიურ ბუნებაზე და შესაბამისად ძალაუფლების რელიგიურ რწმენასთან კავშირზე, რომლებშიც ისინი ღმერთებთან არიან გათანაბრებულნი. იგივე შეიძლება ითქვას ბელადებზე და მათ მჭერმეტყველებაზე, რადგან რიტორიკის გამოყენებით იქმნებოდა ის სიტყვები, რომლებითაც ძლიერ ზემოქმედებდნენ ისინი გარშემომყოფთა ცნობიერებაზე, რადგან იგი დარწმუნების ერთ-ერთი ძირითად საშუალებას წარმოადგენდა.

ამ მიმართულებით საინტერესოა არისტოტელეს, ციცერონის, ცეზარისა და სხვათა შეხედულებები. არისტოტელეს აზრით, დარწმუნება შეიძლება მაშინ, როდესაც შესძლებ აუდიტორიის მხრიდან შენდამი კეთილგანწყობისა და სიმპატიის მოპოვებას. ასე, რომ უკვე ანტიკური პერიოდის მოაზროვნეებს კარგად ესმოდათ საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი წარმატებული მართვის საქმეში. მიჩნეულია, რომ საზოგადოებრივი თუ სახალხო დიალოგის ხელოვნების სიტყვიერი ფორმა ძველებერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ სოკრატესა და მისი მიმდევრების დამსახურებაა ის, რომ მათ საფუძველი ჩაუყარეს დემოკრატიული დიალოგის ფუნქციონალურ ეფექტურობას.

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მისი მართვის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ საქართველოშიც. კოლხეთის აკადემიის მდიდარ ტრადიციებზე აღიზარდა არაერთი სწავლული, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოში ანტიკური და შემდეგი პერიოდის სამართლებრივი აზრის გავრცელების საქმეში. კოლხეთის მეფის გუბაზის მკვლევლობის თაობაზე გამართულ სახალხო კრებაზე სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით თავისი დროის დიდი ორატორების აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარტაძის გამოსვლა, რომელიც თავის გამოსვლებაში უპირატესობას ანიჭებდა სიტყვისა და საქმის ურთიერთდამოკიდებულებას. მისი მტკიცებით, აზრი და სიტყვა პირველადია, სიტყვა იწვევს საქმეს, რომელშიც ადამიანთა მოქმედება გამოიხატება და მის ხორცშესხმას წარმოადგენს. ამასთან, ფარტაძი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მჭერმეტყველებას, რომელსაც, მისი თქმით, თითქმის ყველაფრის დამარცხება ძალუძს. საქართველოს არაერთი გამოჩენილი მოღვაწისა და შემოქმედის სიტყვა მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული (დავით აღმაშენებელი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.).

საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მოღვაწეობის პროფესიული სფერო, აშშ-ში ადრიდანვე განვითარდა, თუმცა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან მიიღო მან დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის სტატუსი. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ტერმინი საზოგადოებასთან ურთიერთობა 1897 წელს სარკინიგზო საქმის მხარდასაჭერად იქნა გამოყენებული. თავად სამეცნიერო დისციპლინა - საზოგადოებასთან ურთიერთობა ანუ ლდაკავშირებულია აივი ლეებეტერა ლის სახელთან, რომელსაც მოგვიანებით ლ „ახალი პროფესიის მამა“ უწოდეს. ამ კარიერაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აივი ლის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი ფირმის „პარკერი და ლის“ საქმიანობას. მისი წარმატებული საქმიანობა კი დაუკავშირდა შემდგომში მსოფლიოში ცნობილ როკფელერებთან ურთიერთთანამშრომლობის პერიოდს. სწორედ აივი ლის სამუშაო გამოცდილება დაედო საფუძვლად პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასასრულს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით არაერთი მსხვილი კორპორაციის მიერ საკუთარი აპარატის შექმნის პრაქტიკას.

საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმოშობას ზოგი მკვლევარი პირდაპირ უკავშირებს ცნობილი ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფროიდის დისშვილისა და მოწაფის ედუარდ ბერნაისის სახელსაც. ამ საქმის პიონერებად ითვლებიან აგრეთვე ჯონ ჰილი და კარლ ბიორი. ყველა მათგანი პირველი მსოფლიო ომის დროს აქტიურად უწევდა დახმარებას აშშ-ს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაში და სხვა ორგანიზაციული საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა ანუ ლ უწინარესად სამეცნიერო-გამოყენებითი დისციპლინაა. ფაბლიქ რილეიშენზის ცოდნა ხელს უწყობს მარკეტინგული კომუნიკაციების არსის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნას, მათ ფორმირებასა და გამოყენებას, ტურისტულ დაწესებულებებში სარეკლამო კამპანიების ჩატარებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის შესწავლა ხელს უწყობს მარკეტინგული კომუნიკაციების არსის და მისი პროცესის ათვისებას ტურისტულ საწარმოებში, ასევე, უნარების გამომუშავებას მარკეტინგული კომუნიკაციების (რეკლამა, ლ გასაღების სტიმულირება, პირდაპირი მარკეტინგი, პირადი გაყიდვები) ძირითადი სახეების გამოყენებაში. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ქვეყანაში ნაციონალური პროდუქტის დაწინაურების შესახებ იმ ცოდნის მიღება, რომლის მეშვეობით გაცილებით უკეთ არის შესაძლებელი სახელმწიფოს როლის დანახვა ამ პროცესში.

